

საქართველოს პარლამენტის საქმიანობის შეფასება

საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიები
2014 წელი



საერთაშორისო
გამჭვირვალობა
საქართველო

თბილისი
2015

კვლევის ავტორები: ლიკა საჭაია, გიორგი ონიანი, თამარ ტატანაშვილი

კვლევაში მონაწილეობდნენ: გიორგი თოფურია, ანა დაბრუნდაშვილი, ანდრია ნადირაძე, გიგი ჩიხლაძე

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“

მისამართი: რუსთაველის გამზირი 26, თბილისი 0108

ტელეფონი (+995 32) 292 14 03

ელფოსტა: info@transparency.ge, parliament@transparency.ge

ვებგვერდი: <http://transparency.ge>, <http://ChemiParlamenti.ge>



„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო მონიტორინგის პროგრამა, რომლის ფარგლებშიც მომზადდა წინამდებარე ანგარიში, ხორციელდება შვედეთის საერთაშორისო განვითარების თანამშრომლობის სააგენტოს (Sida) ფინანსური მხარდაჭერით.

სარჩევი

შესავალი	4
თავი 1. ზოგადი ინფორმაცია პარლამენტის შესახებ	4
თავი 2. ზოგადი სტატიისტიკა	6
თავი 3. მნიშვნელოვანი მოვლენები	7
თავი 4. მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები	12
თავი 5. საპარლამენტო კონტროლი და პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა არჩევა	15
5.1 პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებულებული ორგანოების თანამდებობის პირთა ანგარიშების მოსმენა	16
5.2. პარლამენტის კომიტეტების და პარლამენტის წევრთა მიერ საკონტროლო ფუნქციის განხორციელება	16
5.3. პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა არჩევა	17
თავი 6. ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ (ბანათლება, ასაკი, პროფესია)	20
6.1. პარლამენტის წევრთა ასაკი	20
6.2. პარლამენტის წევრთა ბანათლება და სპეციალობა	20
თავი 7. ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო ცხოვრებაში	21
თავი 8. გენდერული თანასწორობის საბჭო	22
თავი 9. პარლამენტის წევრთა აქტივობა	25
9.1. პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა	26
9.2. პარლამენტის წევრების მიერ 2014 წლის საგაგაფხულო საშემოდგომო და რიგგარეშე სესიებზე ინიციატივით და მიღებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატივები	28
თავი 10. დეპუტატების მონაწილეობა პლენარულ სხდომებსა და საკომიტეტო მუშაობაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი	30

10.1. პლენარული სხდომების საპატიო მიზეზებით გაცდენა	30
10.2. პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების არასაპატიო მიზეზით გაცდენა	32
10.3 პარლამენტის წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობა	34
თავი 11. პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შეფასება	34
11.1. კომიტეტების საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა	35
11.2. მოქალაქეთა განხილვებზე რეაგირება	37
11.3. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში	39
11.4. საგარეო საქმეთა კომიტეტის საქმიანობა	40
თავი 12. მართლმადიდებელი ეკლესიის საქმიანობა	40
12.1. ბიუროსადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა და უმთავრესი პრობლემები	41
12.2. საჯარო შეხვედრები და მნიშვნელოვანი საკითხები	42
12.3. ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები	43
12.4 ბიუროები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები	43
თავი 13. პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა	64
13.1. პარლამენტის წევრთა კავშირები ბიზნესთან	64
13.2. პარლამენტის წევრების არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა	74
თავი 14. საზოგადოებრივი აზრი პარლამენტისა და პარლამენტის ცალკეული წევრების შესახებ	77
თავი 15. 2012-2014 წლების საკანონმდებლო საქმიანობის სტატიისტიკა	88
თავი 16. პრობლემები პარლამენტის საქმიანობაში და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციები	89

შესავალი

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო მონიტორინგის პროგრამის ფარგლებში ყოველწლიურად აფასებს საქართველოს პარლამენტის მუშაობას. ჩვენი ორგანიზაციის საპარლამენტო ჯგუფი აქტიურად არის ჩართული პარლამენტის საქმიანობის მონიტორინგის პროცესში და, პარლამენტის მუშაობის გამჭვირვალობის, საზოგადოების ინფორმირების მიზნით პერიოდულად აქვეყნებს ანგარიშს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საპარლამენტო ჯგუფის ოფისები განთავსებულია თბილისსა და ქუთაისში მდებარე პარლამენტის შენობებში.

ორგანიზაციის მიერ განხორციელებული პარლამენტის 2014 წლის საქმიანობის შეფასება ეფუძნება ჩვენ მიერ მოკვლეული ინფორმაციის ანალიზს, ჩვენი ორგანიზაციის საპარლამენტო ოფისების დაკვირვებებს, პარლამენტიდან გამოთხოვილ სტატისტიკურ მონაცემებს.

ანგარიშში გამოქვეყნებულია, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაკვეთით, CRRC-ს მიერ 2015 წლის აპრილში ჩატარებული საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგებიც, რომელმაც მთელი საქართველო მოიცვა. შემთხვევითი შერჩევის მეთოდით გამოიკითხა 1867 ადამიანი. (გარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა)

დიდ მადლობას მოვახსენებთ თანამშრომლობისთვის საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტს და მის ხელმძღვანელს ეთერ სვიანაიძეს.

თავი 1 ზოგადი ინფორმაცია პარლამენტის შესახებ

პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა, რომელიც ახორციელებს საკანონმდებლო ხელისუფლებას, განსაზღვრავს ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს, საქართველოს კონსტიტუციით დადგენილ ფარგლებში კონტროლს უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას, ახორციელებს კონსტიტუციით, სხვა საკანონმდებლო აქტებითა და პარლამენტის რეგლამენტით მისთვის მინიჭებულ სხვა უფლებამოსილებებს.

პარლამენტი შედგება პროპორციული სისტემით არჩეული 77 და მაჟორიტარული სისტემით არჩეული 73 პარლამენტის წევრისაგან. პარლამენტის უფლებამოსილების ვადაა 4 წელი.

დღევანდელი პარლამენტი მერვე მოწვევისაა, იგი არჩეულ იქნა 2012 წლის 1 ოქტომბრის არჩევნებზე და უფლებამოსილება ეწურება 2016 წელს ჩატარებული საპარლამენტო არჩევნების შედეგად არჩეული საკანონმდებლო ორგანოს უფლებამოსილების ცნობის შემდეგ.

პარლამენტის ფუნქციონირებაში განსაკუთრებული როლი აქვთ საპარლამენტო კომიტეტებს, რომელთა შექმნის მიზანია საკანონმდებლო საკითხების წინასწარ მომზადება, პარლამენტის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის ხელის შეწყობა, პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოებისა და საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლი. პარლამენტი კომიტეტებს ქმნის თავისი უფლებამოსილების ვადის შესაბამისად.

პარლამენტის კომიტეტებია:

- აგრარულ საკითხთა;
- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის;
- განათლების, მეცნიერების და კულტურის;
- გარემოს დაცვისა და ბუნებრივი რესურსების;
- დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის;
- დიასპორისა და კავკასიის საკითხთა;
- ევროპასთან ინტეგრაციის;
- თავდაცვისა და უშიშროების;
- იურიდიულ საკითხთა;
- რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის;
- საგარეო ურთიერთობათა;
- საპროცედურო საკითხთა და წესების;
- საფინანსო-საბიუჯეტო;
- სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა.

პარლამენტში ასევე იქმნება ფრაქციები, რომლებიც წარმოადგენს პარლამენტის წევრთა (არანაკლებ 6 პარლამენტის წევრისა) გაერთიანებებს მათი საერთო პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. საპარლამენტო ფრაქციის ძირითადი ამოცანაა, გამოხატოს და გაატაროს საკუთარი პოლიტიკური კურსი უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის საკითხებთან დაკავშირებით.

მერვე მოწვევის პარლამენტი პოლიტიკური ნიშნით დაკომპლექტებულია შემდეგნაირად:

უმრავლესობაში შემავალი ფრაქციები:

- ქართული ოცნება;
- ქართული ოცნება - რესპუბლიკელები;
- ქართული ოცნება - კონსერვატორები;
- ქართული ოცნება - ეროვნული ფორუმი;
- ქართული ოცნება - მრეწველები;
- დამოუკიდებელი მაჟორიტარები - ძლიერი რეგიონებისთვის;
- უპარტიო, დამოუკიდებელი მაჟორიტარები.

უმცირესობაში შემავალი ფრაქციები:

- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა;
- ნაციონალური მოძრაობა - მაჟორიტარები;
- ნაციონალური მოძრაობა - რეგიონები;

ფრაქცია **თავისუფალი დემოკრატები** არ წარმოადგენს არც უმრავლესობას და არც უმცირესობას.

ასევე, არცერთ ფრაქციას არ წარმოადგენს პარლამენტის ოთხი **დამოუკიდებელი წევრი**:

- დავით ბეჟუაშვილი - მაჟორიტარი (თეთრინყარო);
- გიორგი გაჩეჩილაძე - პარტიული სიით;
- კობა დავითაშვილი - პარტიული სიით;
- მურმან დუმბაძე - მაჟორიტარი (ბათუმი).

თავი 2 ზოგადი სტატისტიკა

საქართველოს პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტის მიერ მოწოდებული ინფორმაციის თანახმად, 2014 წელს პარლამენტში საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში გაიმართა 56 პლენარული სხდომა (მათ შორის 14 რიგგარეშე), პარლამენტის ბიუროს - 104 და პარლამენტის კომიტეტების 552 სხდომა. 2014 წელს საპარლამენტო უმცირესობამ ორჯერ გამოუცხადა ბოიკოტი პარლამენტის მუშაობას. 2014 წლის სექტემბრიდან საკომიტეტო მოსმენები ძირითადად თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში გაიმართა. კომიტეტის სხდომების თბილისში გამართვას არაკონსტიტუციურად მიიჩნევს საპარლამენტო უმცირესობა, რის გამოც ისინი კომიტეტის სხდომებს არ დასწრებიან.

2014 წლის საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების პერიოდში პარლამენტმა მიიღო 327 კანონი, მათ შორის:

- მთავრობის მიერ ინიცირებული - 219;
- პარლამენტის წევრების მიერ ინიცირებული - 80 (2014 წელს მოწვევის პარლამენტის წევრთა მიერ სულ ინიცირებულ იქნა 148 კანონი);
- პარლამენტის კომიტეტების მიერ ინიცირებული - 20;
- საპარლამენტო ფრაქციების მიერ ინიცირებული - 6;
- აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული - 1;
- აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს მიერ ინიცირებული 1 კანონპროექტი.


აღსანიშნავია, რომ კანონპროექტების ინიცირების მხრივ დეპუტატები უფრო აქტიურები იყვნენ მერვე მოწვევის პარლამენტის პირველ წელს. **2012 წლის 21 ოქტომბრიდან 2013 წლის 21 ოქტომბრის ჩათვლით პარლამენტში ინიცირებულ იქნა 620 კანონპროექტი. მათ შორის ყველაზე მეტი, 49.7% პარლამენტის წევრების მიერ იყო ინიცირებული.**

2014 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება. ორივე შემთხვევაში საქმე ე.წ. **ფარული მოსმენების შესახებ კანონის** მიღებას უკავშირდებოდა. პარლამენტმა ერთ შემთხვევაში გაიზიარა პრეზიდენტის შენიშვნები, ხოლო მეორე შემთხვევაში დაძლეულ იქნა ვეტო.

2014 წელს პარლამენტმა მიიღო 1004 დადგენილება; 50 - ხელშეკრულება, შეთანხმება, კონვენცია, მემორანდუმი; 1 განცხადება და 1 რეზოლუცია.

2014 წელს საკანონმდებლო ორგანოში შემოსული იყო **127 საკანონმდებლო წინადადება.** ყველაზე მეტი საკანონმდებლო წინადადება, როგორც ფიზიკურმა პირმა, წარმოადგინა **მოქალაქე ზურაბ ვანიშვილმა (7 საკანონმდებლო წინადადება), ხოლო როგორც იურიდიულმა პირმა -** საზოგადოებრივ და პოლიტიკურ ორგანიზაციათა გაერთიანებამ „**უფლის სახელით-უფალია ჩვენი სიმართლე**“ (23 საკანონმდებლო წინადადება).

დიაგრამა 1.
2014 წლის საგაზაფხულო, საშემოდგომო და რიგგარეშე სესიების პერიოდში მიღებული კანონების ინიციატორები (პროცენტული შემადგენლობით)



თავი 3 მნიშვნელოვანი მოვლენები

ასოცირების შეთანხმების რატიფიცირება

2014 წლის უმნიშვნელოვანეს მოვლენას „ევროკავშირსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ შეთანხმების“ რატიფიცირება წარმოადგენდა.

საქართველოს პარლამენტმა **2014 წლის 18 დეკემბერს** „ევროკავშირსა და ევროპის ატომური ენერჯის გაერთიანებასა და მათ წევრ სახელმწიფოებსა და საქართველოს შორის ასოცირების შესახებ“ შეთანხმების რატიფიცირება მოახდინა **123 ხმით.**

2014 წლის 18 დეკემბერს, სტრასბურგში ევროპარლამენტმა „საქართველოსა და ევროკავშირის შორის ასოცირების ხელშეკრულების“ რატიფიცირება მოახდინა. გადაწყვეტილებას მხარი დაუჭირა 490 ევროპარლამენტარმა. აღნიშნული ხელშეკრულება წარმოადგენს ევროკავშირსა და ევროკავშირის არაწევრ სახელმწიფოს შორის თანამშრომლობის შესახებ შეთანხმებას და მოიცავს როგორც პოლიტიკურ, ისე სავაჭრო, სოციალურ, კულტურულ და უსაფრთხოების სფეროებს. ხელშეკრულების ძალაში შესავლელად აუცილებელია მისი რატიფიცირება მოახდინონ ევროკავშირის წევრ სახელმწიფოთა პარლამენტებმა.

ევროკავშირის ასოცირებული წევრობა პარტნიორ ქვეყანას ავალდებულებს პოლიტიკური, ეკონომიკური, სავაჭრო და სასამართლო რეფორმების გატარებისა და საკანონმდებლო ბაზის ჰარმონიზებას. სანაცვლოდ, ასოცირებულ წევრებს ევროკავშირის ბაზარზე თავისუფალი წვდომის უფლება ენიჭებათ. ასოცირებული წევრები ასევე იღებენ გარკვეულ ფინანსურ და ტექნიკურ დახმარებას. ასოცირების შეთანხმება ხშირ შემთხვევაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ შეთანხმებასაც მოიცავს. საქართველოს შემთხვევაში თავისუფალი ვაჭრობის შესახებ ღრმა და ყოვლისმომცველი ხელშეკრულება ასოცირების შეთანხმების ძირითადი ნაწილია.

ცვლილებები საპარლამენტო უმრავლესობასა და უმცირესობაში

2014 წლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან მოვლენას საკანონმდებლო ორგანოში წარმოადგენდა ცვლილება უმრავლესობის შემადგენლობაში. **2014 წლის 5 ნოემბერს** კოალიცია “ქართული ოცნების” რიგები დატოვეს „**თავისუფალმა დემოკრატებმა**“, რასაც წინ უძღოდა 4 ნოემბერს პრემიერ მინისტრის ირაკლი ლარიბაშვილის მიერ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გათავისუფლება.

„თავისუფალი დემოკრატებიდან“: გედევან ფოფხაძე, გელა სამხარაული, თამაზ ჯაფარიძე კოალიცია „ქართულ ოცნებაში“ დარჩნენ, ხოლო შალვა შავგულიძემ დატოვა ფრაქცია „ქართული ოცნება“ და თავისუფალ დემოკრატებს შეუერთდა. პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, უმრავლესობის შესაქმნელად საჭიროა 76 დეპუტატი. შესაბამისად, საფრთხის წინაშე აღმოჩნდა საპარლამენტო უმრავლესობის არსებობა. პარლამენტში უმრავლესობის შენარჩუნება ნაციონალური მოძრაობის ყოფილი წევრების უმრავლესობაში გაერთიანებით მოხერხდა. საპარლამენტო უმრავლესობის რიგებს შეუერთდა ფრაქცია “უპარტიო დამოუკიდებელი მაჟორიტარები” და პარლამენტში ახლად შექმნილი ფრაქცია „დამოუკიდებელი მაჟორიტარები - ძლიერი რეგიონებისთვის“.

პრეზიდენტის საპარლამენტო გამოსვლები

2014 წელს საქართველოს პრეზიდენტი ორჯერ გამოვიდა სიტყვით პარლამენტში.

აქედან **ერთხელ, 2014 წლის 21 თებერვალს** პრეზიდენტი პარლამენტის წინაშე წარდგა ყოველწლიური მოხსენებით ქვეყანის მდგომარეობის უმნიშვნელოვანეს საკითხებზე, ხოლო **მეორედ 2014 წლის 14 ნოემბერს** პრეზიდენტმა გამოიყენა კონსტიტუციის 73-ე მუხლით მინიჭებული უფლება და მიმართა ხალხს და პარლამენტს.

პრეზიდენტის პირველი (ყოველწლიური) მიმართვა, 2014 წლის 21 თებერვალი

პრეზიდენტის პირველ ყოველწლიურ მოხსენებას პარლამენტში მთავრობის წევრები არ დასწრებიან. პრეზიდენტის 45 წუთიან გამოსვლას საკანონმდებლო ორგანოში რამდენიმე საათის დებატები მოჰყვა. გიორგი მარგველაშვილმა თავის მოხსენებაში შეაფასა ერთი წლის განმავლობაში საქართველოში განვითარებული მოვლენები, ისაუბრა ქვეყნის საგარეო კურსზე და საშინაო პოლიტიკაში არსებულ გამოწვევებსა და განხორციელებულ ცვლილებებზე; ევროპული არჩევანის მნიშვნელობასა და საქართველოს სტრატეგიულ პარტნიორთან, აშშ-სთან ურთიერთობის გადრმაგებაზე; მართლმსაჯულების სისტემაში განხორციელებული რეფორმის მნიშვნელობაზე; ხელისუფლების სოციალურ პასუხისმგებლობასა და საყოველთაო დაზღვევის პროგრამაზე. გამოაცხადა მომავალი **ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების თარიღი, 15 ივნისი.**

პრეზიდენტის მეორე მიმართვა 2014 წლის 14 ნოემბერი

პრეზიდენტის მეორე გამოსვლას წინ უძღოდა პრემიერ მინისტრის მიერ თავდაცვის მინისტრის ირაკლი ალასანიას თანამდებობიდან გათავისუფლება და სამი მინისტრის მიერ თანამდებობების დატოვება. საკანონმდებლო ორგანოში ამრთა სხვადასხვაობა გამოიწვია პრეზიდენტის გამოსვლის ფორმატმა. პრეზიდენტის გამოსვლის შემდეგ უმცირესობამ დებატები მოითხოვა. მათი მოთხოვნა პარლამენტის ბიურომ არ დააკმაყოფილა.

პრეზიდენტის გამოსვლა ევროატლანტიკური კურსის მდგრადობის საკითხს ეხებოდა. გამოსვლაში პრეზიდენტმა ყურადღება გაამახვილა ქვეყნის ევროპული და ევროატლანტიკური კურსის კონსოლიდირებასა

და შეუქცევადობაზე; ხელისუფლების განუტოვებელად გამიჯნვასა და ურთიერთკონტროლზე, ინსტიტუციების გაძლიერებაზე, სამოქალაქო საზოგადოების მეტ ჩართულობაზე პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა გააზრებისა და მომზადების პროცესში და სამოქალაქო საზოგადოების მხრიდან მონიტორინგის მნიშვნელობაზე; სასამართლო და ძალადგანი სტრუქტურების სამართლებრივი რეფორმის საჭიროებასა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის მუშაობა

2013 წელს, პარლამენტის დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტის გადაწყვეტილების საფუძველზე შეიქმნა „საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი დროებითი საპარლამენტო საგამოძიებო კომისია“. მის დანიშნულებას წარმოადგენდა კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრთა მიერ ჩადენილ შესაძლო დარღვევათა შესწავლა.

2014 წლის 7 მარტს პარლამენტმა მიიღო დადგენილება (N2090-III) “საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობის შემსწავლელი საქართველოს პარლამენტის დროებითი საგამოძიებო კომისიის საქმიანობის შედეგების შესახებ” და **ნეგატიურად შეაფასა კომუნიკაციების ეროვნული კომისიის საქმიანობა.** კერძოდ, დადგენილებაში აღინიშნა, რომ კომუნიკაციების ეროვნული კომისია ვერ აკმაყოფილებდა გამჭვირვალობის, სამართლიანობის, მიუკერძოებლობის მოთხოვნებს. პარლამენტმა მოკვლეული მასალები რეაგირებისთვის საქართველოს პროკურატურას გადაუგზავნა. ამასთან, საქართველოს მთავარ პროკურორს, საგამოძიებო მოქმედებებთან და გამოძიების შედეგებთან დაკავშირებით, პარლამენტისთვის ინფორმაციის დროულად მიწოდება ეთხოვა. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობდა დროებით საგამოძიებო კომისიასთან. ორგანიზაციამ კომისიას წარუდგინა კვლევის ანგარიშები, რომელიც ეხებოდა კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრების, განსაკუთრებით მისი თავმჯდომარის ინტერესთა კონფლიქტს¹.

საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენების შემსწავლელი დროებითი საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობა

2014 წელს, როგორც საქართველოს მოქალაქეების, ასევე სამოქალაქო საზოგადოების წევრებისა და პოლიტიკური ძალებისთვის ერთ-ერთ ყველაზე აქტუალურ საკითხად საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთან დაკავშირებული მოვლენები და საყდრისის საბადოს აფეთქება მოიაზრებოდა.

¹„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საქართველოს სარეკლამო სექტორი კონკურენციისა და დამოუკიდებლობის ნაკლებობას განიცდის“, 13 დეკემბერი 2011, იხ.: <http://goo.gl/T1yDPx>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „მარეგულირებელი კომისიის წევრობის კანდიდატები - არსებობს თუ არა ინტერესთა კონფლიქტის რისკები?“, 02 თებერვალი 2013, იხ.: <http://goo.gl/fwYvNO>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პარლამენტს ირაკლი ჩიქოვანის საქმიანობის გამოძიებისკენ მოუწოდებს“, 16 აპრილი 2013, იხ.: <http://goo.gl/IUwxjH>

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „ნომრის პორტირება და მომგებიანი, მთავრობის მიერ ხელდასმული მონოპოლისტი“, 11 დეკემბერი 2012, იხ.: <http://goo.gl/3iWHRy>

2006 წლიდან 2013 წლის 5 ივლისამდე საყდრის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი ჰქონდა მინიჭებული. **2013 წლის 5 ივლისს კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრის ბრძანებით მას კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსი მოეხსნა. პრემიერ-მინისტრის 2013 წლის 7 ოქტომბრის ბრძანებით კი-არქეოლოგიური ძეგლის სტატუსის გარეშე დარჩა.**

„თავისუფალი დემოკრატიების“ წარდგინების საფუძველზე, 2014 წლის 25 დეკემბერს პარლამენტმა მიიღო დადგენილება აღნიშნულ საკითხზე საგამოძიებო კომისიის შექმნის მიზანშეწონილობის თაობაზე. დადგენილებას პარლამენტმა მხარი დაუჭირა **58 ხმით 14-ის** წინააღმდეგ. დადგენილების მიღების საფუძველს საყდრისი-ყაჩაღიანის საბადოსთვის კულტურული მემკვიდრეობის ძეგლის სტატუსის მოხსნა და კომპანია „RMG“-ის მიერ საბადოს ტერიტორიაზე ოქროს მოპოვების მიზნით დიდი მასშტაბების სამუშაოების ჩატარება წარმოადგენდა, ისევე როგორც საქართველოს კულტურის ძეგლთა დაცვის სამინისტროსა და კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს შესაბამისი თანამდებობის პირთა მიერ კანონის შესაძლო დარღვევა. საგამოძიებო კომისიის უფლებამოსილების ვადა **3 თვით განისაზღვრა, ხოლო შემადგენლობა - 12 წევრით.** კომისიის შექმნის მიზანშეწონილობას მხარი არ დაუჭირეს ფრაქცია „ქართული ოცნების“ წევრებმა. დადგენილების მიღების მიუხედავად, საბოლოოდ საგამოძიებო კომისია ვერ შეიქმნა. **მოგვიანებით, 2015 წელს უმრავლესობის წევრებმა მხარი არ დაუჭირეს საგამოძიებო კომისიის შემადგენლობას. ამის მიზეზი იყო არა წარმოდგენილ შემადგენლობასთან პრობლემა, არამედ თავად კომისიის შექმნის იდეისადმი მათი დამოკიდებულება.**

საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმა

2013 წელს დაწყებული საზოგადოებრივი მაუწყებლის რეფორმირებას საკითხს საქართველოს პარლამენტისთვის არც 2014 წელს დაუკარგავს აქტუალობა. საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭო დღემდე სრულად არ დაკომპლექტებულა. საქართველოს პარლამენტმა ვერ მოახერხა საზოგადოებრივი მაუწყებლის **9 წევრის** სრულად არჩევა. ამ ეტაპზე საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს ახალი წესით შერჩეული **7 მეურვე ჰყავს, 2 მეურვის პოსტი** - ვაკანტურია.

2014 წლის დასაწყისისთვის საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეურვეო საბჭოს მხოლოდ 4 წევრი იყო არჩეული. 2014 წლის 11 მარტს პარლამენტის თავმჯდომარემ დავით უსუფაშვილმა ხელახალი კონკურსი გამოაცხადა. ხოლო 16 აპრილს კენჭისყრაზე წარდგენილი 5 კანდიდატიდან საქართველოს პარლამენტმა მხოლოდ 3 დაამტკიცა - უმცირესობისა და უმრავლესობის მიღმა მყოფი დეპუტატების წარდგენილმა კანდიდატებმა ვერ დააგროვეს ხმების საჭირო რაოდენობა.

პარლამენტის წინააღმდეგ საკონსტიტუციო სასამართლოში სარჩელი შეიტანეს სამეურვეო საბჭოს ყოფილმა წევრებმა. საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 11 აპრილს სარჩელი დააკმაყოფილა. შესაბამისად, „მაუწყებლობის შესახებ“ კანონში შესული ის ცვლილებები გაუქმდა, რომლის ძალითაც მოქმედი სამეურვეო საბჭოს წევრებს უფლებამოსილება ვადად უნდა შეწყვეტოდათ.

საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებასთან „მაუწყებლობის შესახებ“ კანონის შესაბამისობაში მოყვანის მიზნით, **2014 წლის 2 მაისს** პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა საქართველოს კანონში „მაუწყებლობის შესახებ“. საზოგადოებრივ მაუწყებელში სამეურვეო საბჭოს პარალელურად, შეიქმნა დროებითი ორგანო, მონიტორინგის საბჭო. ამ გზით სამეურვეო საბჭოს ძველ წევრებს საზოგადოებრივ მაუწყებელში სამსახური შეუნარჩუნდათ. მონიტორინგის საბჭოს, საზოგადოებრივ მაუწყებელში მიმდინარე რეფორმის პროცესში, ინსტიტუციური განვითარების უწყვეტობისა და ახალშექმნილი სამეურვეო საბჭოს საქმიანობაზე შიდა კონტროლის განხორციელების ფუნქცია განესაზღვრა.

კანონის ამოქმედების გადავადება

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა ერთი წლით გადაავადა რამდენიმე მნიშვნელოვანი კანონის ამოქმედება.

- ნაფიც მსაჯულთა ინსტიტუტის სრული მოცულობით ამოქმედების ვადამ გადაინია და 2014 წლის 1 ოქტომბრის ნაცვლად, კანონი 2016 წლის 1 ოქტომბრიდან ამოქმედდება;
- ერთი წლით გადავადდა ფიზიკური პირებისთვის საკონტროლო - სალარო აპარატების გამოყენების ვალდებულება, რომელიც 2015 წლის 1 იანვრიდან უნდა ამოქმედებულიყო;
- 2015 წლის 1 იანვრიდან სავალდებულო ხდებოდა ფინანსური ანგარიშგების მომზადება ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტებისა (IFRS) და მცირე და საშუალო საწარმოების ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (IFRS for SMEs) შესაბამისად;
- გადახდისუუნარობის საქმის წარმოება უპირობოდ უნდა განხორციელებულიყო ელექტრონული სისტემის მეშვეობით, რაც გულისხმობს საქმისწარმოების პროცესში კანონით გათვალისწინებული მოქმედებების ელექტრონული საშუალებებით შესრულებას;
- საქართველოს ეროვნულ ბანკს ეწერებოდა საინვესტიციო ფონდების საზედამხებელო ორგანოდ ფუნქციონირების ვადა, რაც ასევე ერთი წლით გახანგრძლივდა;
- უნდა გაუქმებულიყო საგადასახო შეღავათები თამბაქოს ნედლეულისა და ნაწარმის იმპორტზე;
- ბირთვული უსაფრთხოების სფეროში უნდა შემუშავებულიყო რამდენიმე კანონი და კანონქვემდებარე აქტი;
- უნდა გაუქმებულიყო შეღავათი, რომელმაც ქონების გადასახადისგან დროებით გაათავისუფლა ქვეყნის სამედიცინო ინფრასტრუქტურა.

კანონპროექტების ამოქმედების გადავადების ძირითად მიზეზებად დასახელდა:

- ა) კანონების ასამოქმედებლად ჩასატარებელი სამუშაოების არაგონივრული ვადები;
 - ბ) არასაკმარისი ფინანსური და ადამიანური რესურსი;
 - გ) საკითხის ღრმად შესწავლის აუცილებლობა.
- აღსანიშნავია, რომ კანონპროექტების განმარტებით ბარათებში ცვლილებათა მიზეზები ან არ იყო მითითებული, ან უმთავრესად - არადამაჯერებელი არგუმენტებით გამყარებული.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ანალიზის საფუძველზე ასკვნის, რომ ცვლილებების ხშირი გადავადება ხელისუფლების არაეფექტურ მუშაობაზე მეტყველებს, რაც შესაძლოა ისეთი ფაქტორებით იყოს გამოწვეული, როგორცაა:

- საჯარო პოლიტიკის გატარების მოუწესრიგებლობა;
- საკანონმდებლო ციკლის არაეფექტური დაგეგმვა;
- სხვადასხვა სფეროზე საკანონმდებლო ეფექტის მონიტორინგის არარსებობა;
- ადგილობრივი კონტექსტის უგულვებელყოფა;
- მთავრობის საქმიანობაზე არასაკმარისი ზედამხებელობა;
- არასასურველი კანონის ამოქმედების ხელოვნურად შეფერხება და სხვ.²

² „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საკანონმდებლო ნორმების გადავადება მთავრობის არაეფექტურ ფუნქციონირებაზე მიუთითებს“, 16 დეკემბერი 2014, იხ.: <http://goo.gl/ZPpQA2>

თავი 4

მნიშვნელოვანი საკანონმდებლო ცვლილებები

1. ფარული მოსმენების საკანონმდებლო რეგულირება

2014 წელს მნიშვნელოვანი რეფორმა განხორციელდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების და სისხლის სამართლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა დაცვის თვალსაზრისით. 2014 წელს საქართველოს პრეზიდენტმა ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება და **ორივე შემთხვევაში ვეტო შეეხებოდა კანონ-პროექტთა პაკეტს ე.წ. მოსმენების შესახებ.**

მოსმენებთან დაკავშირებული საკანონმდებლო პაკეტის მიღება შეიძლება დაიყოს ორ ეტაპად:
პირველი ეტაპი - 2014 წლის 31 აგვისტო;
მეორე ეტაპი - 2014 წლის 30 ნოემბერი.

2014 წლის 31 აგვისტოს კანონზე მუშაობა დაიწყო სამოქალაქო სექტორის საკანონმდებლო წინადადებების საფუძველზე და მიმდინარეობდა წელიწადნახევარი სამოქალაქო საზოგადოებისა და ევროპულ ექსპერტთა ჩართულობით. კანონი მნიშვნელოვან წინგადადგმულ ნაბიჯად უნდა შეფასდეს სისხლის სამართლის პროცესში პერსონალურ მონაცემთა და პირადი ცხოვრების უფლებების დაცვის კუთხით.

ფარული საგამოძიებო მოქმედებები სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დარეგულირდა; განისაზღვრა პირთა წრე და დანაშაულთა კატეგორია, რომლის ჩადენის შემთხვევაშიც შესაძლებელი გახდა ფარული საგამოძიებო მოქმედებების წარმოება, აგრეთვე ამ მოქმედებების შედეგად მოპოვებული ინფორმაციის დაცვისა და განადგურების რეჟიმი; გაიზარდა პერსონალურ მონაცემთა დაცვის ინსპექტორის უფლებამოსილება და დამოუკიდებლობის გარანტიები. კანონში ღიად დარჩა საკითხი თუ რა წესით უნდა მოხდეს სამართალდამცავი ორგანოების მიერ კომუნიკაციების კომპანიებიდან რელურ დროში ინფორმაციის მიღება, ვის ხელში უნდა იყოს ე.წ. მოსმენების გასაღები.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შეიქმნა უწყებათაშორისო სამუშაო ჯგუფი, რომლის შემადგენლობაში სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენლებიც შევიდნენ.

სამუშაო ჯგუფის წევრები ვერ შეთანხმდნენ საერთო ვერსიაზე. პარლამენტში დარეგისტრირდა **ორი საკანონმდებლო ინიციატივა და ერთი საკანონმდებლო წინადადება:**

- 1. ვახტანგ ხმალაძის;**
- 2. ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძის და ირაკლი სესიაშვილის;**
- 3. არასამთავრობო ორგანიზაციათა საკანონმდებლო ჯგუფის წინადადება (ლიკა საჯაია, ეკა გიგაური, ლაშა ტულუში, ზვიად ქორიძე, კახა კოჭორიძე).**

არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებმა პარლამენტში შეიტანეს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ითვალისწინებდა გასაღების გამოტანას შინაგან საქმეთა სამინისტროდან და ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებისა და სასამართლოსთვის გადაცემას. დეპუტატ ვახტანგ ხმალაძის კანონპროექტი ითვალისწინებდა ე.წ. გასაღების კომუნიკაციების ეროვნული კომისიისათვის გადაცემას. ეკა ბესელიას, გედევან ფოფხაძის და ირაკლი სესიაშვილის მიერ ინიცირებული კანონპროექტი ითვალისწინებდა ე.წ. გასაღების შინაგან საქმეთა სამინისტროს ხელში დატოვებას და პერსონალურ მონაცემთა ინსპექტორის ჩართვას მოსმენების პროცესში.

2014 წლის 30 ნოემბერს პარლამენტმა **82** ხმით **13**-ის წინააღმდეგ, პრეზიდენტის ვეტოს დაძლევის შემდეგ, მიიღო ბესელია-ფოფხაძე-სესიაშვილის ინიციატივა. **კანონი საგრძნობლად აუარესებს საკანონმდებლო ჩარჩოს და ქმნის თითოეული მოქალაქის პირად ცხოვრებაში სახელმწიფოს ჩარევის ყოველად გაუმართლებელ რისკებს შემდეგი მიზეზების გამო:**

- ა)** შსს-ში რჩება სერვერები, ე.წ. შავი ყუთები;
- ბ)** ფარული მოსმენების განხორციელების პროცესში, ინსპექტირების გარეშე რჩება ინტერნეტიდან პერსონალურ მონაცემთა მოპოვება;
- გ)** შსს-ს უფლება რჩება სასამართლოს ნებართვის გარეშე ელექტრონული კომუნიკაციების კომპანიებიდან განახორციელოს შეუზღუდავი მოცულობისა და კანონით განუსაზღვრელი შინაარსის მონაცემთა კოპირება.³

2. საქართველოს კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“

2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტმა მიიღო კანონი „დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ“, რაც დადებითად უნდა შეფასდეს ადამიანის უფლებების დაცვის სფეროში თანასწორობის დამკვიდრების თვალთახედვით.

ევროკავშირისა და საქართველოს შორის ვიზების ლიბერალიზაციის სამოქმედო გეგმის ფარგლებში, 2013 წელს საქართველოს დაეკისრა დისკრიმინაციის სხვადასხვა ფორმების აღმოფხვრისკენ მიმართული კანონის მიღების ვალდებულება. კანონპროექტის მომზადებაზე პასუხისმგებელ ორგანოს იუსტიციის სამინისტრო წარმოადგენდა, რომელმაც კანონპროექტზე მუშაობის პროცესში უზრუნველყო საზოგადოების ჩართულობა. კონსულტაციები გავლილ იქნა, აგრეთვე, საქართველოს საპატრიარქოსთან. სამოქალაქო სექტორთან შეთანხმებული ზოგიერთი ცვლილება ამოღებულ იქნა პარლამენტში წარდგენილი კანონპროექტიდან, კერძოდ, სახელმწიფოს მხრიდან დისკრიმინაციის ჩამდენი პირების დაჯარიმების მექანიზმი.

ცალკეული პარლამენტის წევრები, არასაპარლამენტო ოპოზიციის წარმომადგენლები და განსაკუთრებით სასულიერო პირები ითხოვდნენ, რომ კანონს არ დაეკონკრეტებინა დისკრიმინაციის ფორმები. განსაკუთრებით სენსიტიური აღმოჩნდა ჩანაწერი სექსუალურ ორიენტაციაზე და გენდერულ იდენტობაზე. განხილვებისას კანონს დაემატა დათქმა, რომ არც ერთი დებულება არ შეიძლება განიმარტოს სახელმწიფოსა და ეკლესიას შორის დადებული კონსტიტუციური შეთანხმების საწინააღმდეგოდ. კანონს საზოგადოებრივი ზნეობის დაცვის მიზნით დაემატა „განსხვავებული მოპყრობა და პირობების შექმნა“, რომელიც არ ჩაითვლება დისკრიმინაციად. კანონით განისაზღვრა დისკრიმინაციის ყველა ფორმის დაუშვებლობა, ხოლო სახალხო დამცველს მიენიჭა უფლება, შეისწავლოს დისკრიმინაციის ფაქტები საკუთარი ინიციატივით ან განცხადების საფუძველზე. ასევე, იმ შემთხვევაში თუ მეორე მხარე ადმინისტრაციული ორგანოა, სახალხო დამცველს მიეცა უფლება, მიმართოს სასამართლოს, ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის შესაბამისად, და მოითხოვოს სათანადო აქტის ბათილად ცნობა, ახალი აქტის გამოცემა ან მოქმედების შეჩერება. მნიშვნელოვანია, რომ როგორც სახალხო დამცველისთვის მიმართვის შემთხვევაში, ასევე სასამართლო დავისას, დისკრიმინაციის ფაქტის დადგენის პროცესში მტკიცების ტვირთი მთლიანად მოპასუხეზე გადადის.⁴

³„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, „საფრთხე, რასაც ფარული მოსმენების ახალი კანონმდებლობა თქვინი პირადი ცხოვრების უფლებას უქმნის“, 23 დეკემბერი, 2014. იხ.: <http://goo.gl/PUYekG>

⁴„საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „ანტიდისკრიმინაციული კანონი: მიღწევები და გამოწვევები“, 17 ივნისი 2014, იხ.: <http://goo.gl/olPK26>

3. ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი

2014 წლის 5 თებერვალს საქართველოს პარლამენტმა მიიღო “ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი”. კოდექსმა მნიშვნელოვანი ცვლილებები განაპირობა ადგილობრივი თვითმმართველობის არსებულ სისტემაში - თვითმმართველი ქალაქის სტატუსი **დამატებით 7 ქალაქს მიანიჭა**; საკრებულოს წევრთა ორი მესამედის მხარდაჭერის შემთხვევაში, შესაძლებელი გახდა პირდაპირი წესით არჩეული გამგებლის (მერისთვის) უნდობლობის გამოცხადება და მისი თანამდებობიდან გადაყენება; კოდექსის მნიშვნელოვანი დებულებაა ფისკალური დეცენტრალიზაცია, რაც გულისხმობს, თვითმმართველი ერთეულის ტერიტორიაზე რეგისტრირებული დასაქმებული პირის მიერ გადახდილი საშემოსავლო გადასახადის ნაწილის იმავე თვითმმართველი ერთეულისათვის დატოვებას. ამასთან, მუნიციპალიტეტის ბიუჯეტი, მიზნობრივ ტრანსფერებთან ერთად, დამატებით კაპიტალურ ტრანსფერს მიიღებს; კანონით ასევე განისაზღვრა თვითმმართველი ერთეულის ქონება და აღინიშნა, რომ 2017 წლამდე მუნიციპალიტეტის საკუთრებაში უნდა გადავიდეს ქონება, რომელიც კონკრეტული მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარეობს და წარმოადგენს ეკონომიკის სამინისტროს საკუთრებას, ან დაყადაღებულია, ანდა ჯერ კიდევ ყოფილი კოლმეურნეობების ბალანსზე იმყოფება.

4. საქართველოს კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“

2014 წლის 5 მარტს პარლამენტმა მიიღო კანონი „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“, რომელიც ძალაში შევიდა 2014 წლის 1 სექტემბერს. ცვლილებებმა ამ სფეროს მარეგულირებელი ნორმები მნიშვნელოვნად გაამკაცრა. საქართველოს მთავრობამ ამ ცვლილებების აუცილებლობა უმთავრესად ევროკავშირთან სავიზო რეჟიმის დიალოგის ფარგლებში არსებული ვალდებულებებით ახსნა. ახალი კანონით გათვალისწინებულმა ცვლილებებმა გაართულა უცხო ქვეყნის მოქალაქეთა მიერ საქართველოში შემოსვლისა და ცხოვრების უფლების მოპოვების პროცედურები. ახალი კანონით გაუქმდა საქართველოს ტერიტორიაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეებისთვის ვიზის აღების შესაძლებლობა, აკრძალვამ უამრავი ნეგატიური შედეგი გამოიღო, რადგან ვიზის აღება, ცვლილებების თანახმად, ბინადრობის ნებართვის მიღების წინაპირობად იქცა, რამაც, ფაქტობრივად, გადაულახავი პრობლემები შეუქმნა საქართველოში უკვე მყოფ უცხოელებს.

ქვეყანაში ყოფნის ვადა შეიცვალა და **360 დღიდან ჩამოვიდა 180 დღეზე, 90 დღიანი** ყოფნის უფლებით. 117-დან 104-მდე შემცირდა იმ ქვეყნების რიცხვი, რომლის მოქალაქეებსაც შეეძლოთ უვიზოდ შემოსულიყვნენ საქართველოში. უვიზოდ შემოსვლის უფლება დაკარგა **13 ქვეყნის, მათ შორის: ერაყის, ლათინური ამერიკის, კარიბის ზღვის აუზის რამდენიმე ქვეყნის მოქალაქემ.**

აღსანიშნავია, რომ კანონის ძალაში შესვლის, ანუ 2014 წლის 1 სექტემბრის შემდეგ, კანონში ოთხი ცვლილება შევიდა, რაც კიდევ უფრო განამტკიცებს აზრს, რომ კანონმა ვერ გაითვალისწინა ქვეყნის წინაშე არსებული გამოწვევები. განსაკუთრებით მნიშვნელოვანი აღმოჩნდა ნოემბერში შესული ცვლილება, რომლის თანახმად, იმავე წლის დეკემბრიდან კვლავ შესაძლებელი გახდა საქართველოს ტერიტორიაზე მყოფი უცხოეთის მოქალაქეებისთვის ვიზის აღება. კანონმა გააუქმა, აგრეთვე, სახელმწიფო საზღვარზე ვიზის აღება, რითაც ძალზე ხშირად სარგებლობდნენ უცხოელი ტურისტები. 2014 წლის ნოემბერში, „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ საკანონმდებლო წინადადებით მიმართა საქართველოს პარლამენტს, რაც ითვალისწინებდა ცვლილებების შეტანას კანონში „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“.⁵

⁵ „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო“, „ქართულ საიმეგრაციო პოლიტიკაში კვლავ პრობლემებია“, 26 თებერვალი, 2015, იხ.: <http://goo.gl/oinxmY>

5. საქართველოს კანონი “კომერციული ბანკების შესახებ”

2014 წლის 12 დეკემბერს საქართველოს პარლამენტმა ცვლილებები შეიტანა “კომერციული ბანკების საქმიანობის შესახებ” კანონსა და მისგან გამომდინარე კანონებში. ცვლილებების თანახმად, ახლებურად დარეგულირდა ფინანსური ინსტიტუტებიდან მოქალაქეების კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების წესი. მნიშვნელოვნად გაფართოვდა საგადასახადო ორგანოების უფლებამოსილება, კომერციული ბანკებიდან პირის თანხმობის გარეშე მოიპოვონ მის შესახებ არსებული კონფიდენციალური ინფორმაცია. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“, საქართველოს ბანკების ასოციაციასთან ერთად, საქართველოს პარლამენტს შენიშვნების პაკეტი შესთავაზა. შენიშვნები ეხებოდა პირის პერსონალური მონაცემების დაცვასა და საგადასახადო ორგანოს დისკრეციის შეზღუდვას. შენიშვნების ნაწილი პარლამენტმა გაითვალისწინა. თუმცა კანონმდებლებმა არ გაითვალისწინეს შენიშვნა, რომელიც ეხებოდა პირის უფლებას, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე, გაასაჩივროს საგადასახადო ორგანოს მიერ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვების ფაქტი. 2014 წლის 12 დეკემბერს მიღებული კანონის თანახმად, იმ შემთხვევაში თუკი საგადასახადო ორგანო, საერთაშორისო ხელშეკრულების საფუძველზე გაასაჩივრებს პირის შესახებ კონფიდენციალური ინფორმაციის მოპოვებას, სასამართლო შუამდგომლობას განიხილავს პროცესზე ამ პირის დასწრების გარეშე. ამდენად, პირისათვის უცნობი რჩება მისი კონფიდენციალური ინფორმაციის შესახებ საქმის სასამართლოში განხილვის ფაქტი და შესაბამისად, მას არც გასაჩივრების უფლება ეძლევა. გასაჩივრების უფლება აქვს მხოლოდ საგადასახადოს. აღნიშნული უგულვებელყოფს ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციით გარანტირებულ დაცვასა და სამართლიან სასამართლოს და არ ითვალისწინებს პირის უფლებას, გაასაჩივროს სასამართლოს გადაწყვეტილება ზემდგომ ინსტანციაში - იდაგოს მინიმუმ სასამართლოს ორ ინსტანციაში. ზემოთქმული ეწინააღმდეგება, აგრეთვე, საქართველოს ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის ძირითად, შეჭიბვრებითობისა და საქმის გარემოებების სასამართლოს მიერ გამოკვლევის პრინციპს (მე-4 მუხლი).

2015 წელს აღნიშნული კანონი იურისტმა ლევან ალაფიშვილმა საკონსტიტუციო სასამართლოში გაასაჩივრა. სარჩელის თანახმად, კანონით დადგენილი რეგულირება ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციის 42-ე მუხლს (სამართლიანი სასამართლო და დაცვის უფლება).

თავი 5 საპარლამენტო კონტროლი და პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა არჩევა

პარლამენტი ზედამხედველობას უწევს საქართველოს მთავრობის საქმიანობას. პარლამენტის პრეროგატივაა: მთავრობის საქმიანობის კონტროლი, პარლამენტის წინაშე ანგარიშგალდებული თანამდებობის პირებისა და ორგანოების კონტროლი, სახელმწიფო ბიუჯეტის კანონის მიღება და მისი შესრულების საპარლამენტო კონტროლი.

5.1. პარლამენტის მიერ მის წინაშე ანგარიშვალდებული ორგანოების თანამდებობის პირთა ანგარიშების მოხერხება

საქართველოს პარლამენტმა, რეგლამენტით დადგენილი წესით, 2014 წელს მოისმინა პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებული შემდეგი ორგანოების ყოველწლიური ანგარიში:

- სახალხო დამცველის (17.07.2014);
- საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის (22.07.2014);
- სახელმწიფო აუდიტის სამსახურის (25.07.2014);
- საქართველოს ეროვნული ბანკის (29.07.2014);
- საზოგადოებრივი მაუწყებლის (09.09.2014).

5.2. პარლამენტის კომიტეტების და პარლამენტი წევრთა მიერ საკონსტიტუციო ფუნქციის განხორციელება

პარლამენტის კომიტეტების ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფუნქცია საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლია. რეგლამენტის თანახმად, საქართველოს პარლამენტი თავისი უფლებამოსილების ვადით, საქართველოს მთავრობის საქმიანობის კონტროლის მიზნით ქმნის კომიტეტებს. კომიტეტის მიერ საკონსტიტუციო ფუნქციის განხორციელების უმთავრესი ფორმა სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების კონტროლია.

საანგარიშო პერიოდში პარლამენტის კომიტეტებმა კვარტალურად განიხილეს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების ანგარიში. პარლამენტის აგრარულ საკითხთა და გარემოს დაცვის **კომიტეტებმა 2014 წლის 6 თვის ბიუჯეტის შესრულება** უარყოფითად შეაფასეს. შენიშვნები შეეხებოდა ბიუჯეტის ხარჯვით ნაწილს. ანგარიში მოისმინეს და ნეგატიური დასკვნა გამოიტანეს მხოლოდ უმრავლესობის წევრებმა, რადგან უმცირესობა ბიუჯეტის რევიზიის და თბილისში გამართულ კომიტეტის სხდომებს არ ესწრება.

2014 წლის საგარეო ურთიერთობების და საშემო დიპლომატიის კომისიის პერიოდში კომიტეტის სხდომებზე მოწვეულ იქნა საქართველოს **მთავრობის 42 წევრი**.

საპარლამენტო კონტროლის განხორციელების ერთ-ერთი ფორმაა დეპუტატის უფლება კითხვით მიმართოს პარლამენტის წინაშე ანგარიშვალდებულ ორგანოს, საქართველოს მთავრობას, საქართველოს მთავრობის წევრებს, ტერიტორიული ერთეულის აღმასრულებელი ორგანოს ყველა დონის ხელმძღვანელს, სახელმწიფო დაწესებულებას, მიიღოს და შეაფასოს პასუხები. შეკითხვის მიცემა ხდება მხოლოდ წერილობითი ფორმით. თითოეული სამთავრობო სტრუქტურა და თანამდებობის პირი, რომელსაც შეკითხვით მიმართეს, ვალდებულია პარლამენტს შეკითხვის მიღებიდან 15 დღეში წარუდგინოს წერილობითი პასუხი.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს პარლამენტის წევრების მიერ ყველაზე მეტი წერილობითი შეკითხვა გაიგზავნა საქართველოს ფინანსთა და შინაგან საქმეთა სამინისტროებში. კერძოდ, საქართველოს პარლამენტის 13 წევრმა მთავრობას 119 წერილობითი კითხვა გაუგზავნა. აქედან ყველა კითხვას გაეცა პასუხი და გადაეცა ადრესატს.

ცხრილი 1. დეპუტატების მიერ მთავრობის წევრებისთვის დასმული წერილობითი კითხვების რაოდენობა

	პარლამენტის წევრი	წერილობითი შეკითხვა
1	გიორგი გაბაშვილი	73
2	სერგო რატიანი	8
3	ხათუნა გოგორიშვილი	7
4	ირმა ნადირაშვილი	7
5	გიორგი ბარამიძე	7
6	ტარიელ ლონდარიძე	5
7	გიორგი ხაჩიძე	4
8	ზურაბ ჯაფარიძე	2
9	ზურაბ ტყემალაძე	2
10	კახაბერ ოქრიაშვილი	1
11	გიორგი თარგამაძე	1
12	ნუგზარ ნიკლაური	1
13	მანანა კობახიძე	1

5.3. პარლამენტის მიერ თანამდებობის პირთა არჩევა

საქართველოს პარლამენტი კანონმდებლობით დადგენილი წესით ირჩევს აღმასრულებელი ორგანოებისა და დამოუკიდებელ ორგანოთა თანამდებობის პირებს.

2014 წელს საქართველოს პარლამენტმა ვერ შესძლო იუსტიციის საბჭოს სრულად დაკომპლექტება. საკანონმდებლო ორგანომ ვერ აირჩია იუსტიციის უმაღლესი საბჭოს არამოსამართლე წევრი. აღნიშნულ თანამდებობაზე პირის ასარჩევად საჭიროა პარლამენტის შემადგენლობის 2/3 ანუ 100 ხმა. პირველი კენჭისყრა 2014 წლის 26 ივლისს გაიმართა. პარლამენტმა იუსტიციის უმაღლეს საბჭოს არამოსამართლე წევრის ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად კენჭი სამ კანდიდატურას უყარა. პარლამენტმა ლერი ქათამაძის კანდიდატურას, 8 ხმით 3-ის წინააღმდეგ, ცისმარ ონიანის კანდიდატურას, 37 ხმით 4-ის წინააღმდეგ, ხოლო დავით კარიაულის კანდიდატურას, 67 ხმით 4-ის წინააღმდეგ მხარი არ დაუჭირა. აღნიშნულ პოზიციამე 11 ნოემბერს მეორედ იქნა წარდგენილი დავით კარიაულის კანდიდატურა, რომელსაც პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა (62 ხმა 4-ის წინააღმდეგ).

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს ვერ აირჩია საკონსტიტუციო სასამართლოს ერთი წევრი. საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს წევრს ვადა 2013 წლის 23 სექტემბერს ამოეწურა. ვახტანგ გვარამია საქართველოს პარლამენტის კვოტით იყო არჩეული და პარლამენტი ვალდებული იყო დაესახელებინა და აერჩია ახალი კანდიდატი. ფრაქცია “ქართულმა ოცნებამ” საკონსტიტუციო

სასამართლოს წევრად მერაბ ტურავას კანდიდატურა 2014 წლის დასასრულს წარადგინა. საკონსტიტუციო წევრის ასარჩევად საჭიროა 76 ხმა. 25 დეკემბერს პარლამენტმა (69 მომხრე და 20 წინააღმდეგი) მხარი არ დაუჭირა მერაბ ტურავას კანდიდატურას.

საქართველოს პარლამენტმა 2014 წელს აირჩია ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები. არჩევის პროცედურები გაჭიანურდა და პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატები რამდენჯერმე ჩავარდა. ამის მიზეზად დეპუტატებმა, ასევე, დაასახელეს გარემოება, რომ კანდიდატების ვინაობა, მათი ბიოგრაფიები მათთვის სათანადოდ არ იყო ცნობილი.

2014 წელს პარლამენტმა პრეზიდენტის წარდგენით რამდენიმე თანამდებობის პირი აირჩია. საქართველოს პრეზიდენტი კანონმდებლობით განსაზღვრულ შემთხვევებში და დადგენილი წესით მონაწილეობს ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრებისა და თავმჯდომარის თანამდებობაზე განწესებაში; მთავრობასთან შეთანხმებით პარლამენტს წარუდგენს ეროვნული მარეგულირებელი კომისიების წევრთა კანდიდატურებს; საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს უზენაესი სასამართლოს თავმჯდომარისა და უზენაესი სასამართლოს მოსამართლეების კანდიდატურებს; საქართველოს პარლამენტს ასარჩევად წარუდგენს საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს; გემოთჩამოთვლილი უფლებამოსილების ფარგლებში, 2014 წელს საქართველოს პრეზიდენტის წარდგინებებით საქართველოს პარლამენტმა აირჩია ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები, უზენაესი სასამართლოს წევრები, კომუნიკაციის ეროვნული კომისიის წევრები და ეროვნული ბანკის წევრი. 2014 წელს პარლამენტმა რამდენჯერმე არ დაუჭირა მხარი, ამა თუ იმ თანამდებობაზე, პრეზიდენტის მიერ წარდგენილ პირთა არჩევას.

ცხრილი 2. ცენტრალური საარჩევნო კომისიის წევრები

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურები	შედეგი
ზურაბ ხრიკაძე და ლევან ტურაშვილი	პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კანდიდატურებს 11.12.2014
ნინო თათრულაიძე და დიმიტრი ჯავახიძე	პარლამენტის დადგენილებით არჩეულ იქნა დიმიტრი ჯავახიძე (25.12.2014)
გიორგი ჭიქაბერიძე და ნათია ჭიქია	პარლამენტის დადგენილებით არჩეულ იქნა გიორგი ჭიქაბერიძე (04.02.2015)
გიორგი ჯავახიშვილი და ლევან ტურაშვილი	პარლამენტის დადგენილებით არჩეულ იქნა გიორგი ჯავახიშვილი (04.02.2015)
დავით ღონღაძე და ზურაბ ხრიკაძე	პარლამენტის დადგენილებით არჩეულ იქნა ზურაბ ხრიკაძე (04.02.2015)

ცხრილი 3. უზენაესი სასამართლოს წევრები

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურები	შედეგი
ზურაბ ძლიერიშვილი	პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კანდიდატურას (01.08.2014)
ნინო ბაქაძე	პარლამენტმა მხარი არ დაუჭირა კანდიდატურას (01.08.2014)
ზურაბ ძლიერიშვილი	არჩეულ იქნა პარლამენტის დადგენილებით (17.10.2014)
ნინო ბაქაძე	არჩეულ იქნა პარლამენტის დადგენილებით (17.10.2014)

ცხრილი 4. კომუნიკაციების ეროვნული კომისია

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურები	შედეგი
კახი ბექაური	არჩეულ იქნა პარლამენტის დადგენილებით (24.01.2014)
ვახტანგ აბაშიძე	არ იქნა არჩეული პარლამენტის დადგენილებით (16.04.2014)

ცხრილი 5. ეროვნული ბანკის წევრი

პრეზიდენტის მიერ წარდგენილი კანდიდატურები	შედეგი
ნიკოლოზ ყავჭელაშვილი	არჩეულ იქნა პარლამენტის დადგენილებით (11.12.2014)

თავი 6

ინფორმაცია პარლამენტის წევრების შესახებ (განათლება, ასაკი, პროფესია)

საქართველოს კონსტიტუციის 49-ე მუხლის თანახმად, საქართველოს პარლამენტის წევრად შეიძლება აირჩეს საარჩევნო უფლების მქონე საქართველოს მოქალაქე 21 წლის ასაკიდან.

პარლამენტის წევრის უფლებამოსილების ვადა იწყება მის მიერ ფიცის დადებისთანავე და მთავრდება ახალარჩეული პარლამენტის პირველი შეკრებისთანავე.

პარლამენტის წევრისთვის არ არის დაწესებული განათლების ცენზი და პროფესიული შეზღუდვა.

6.1. პარლამენტის წევრთა ასაკი

2012 წლის მონვევის პარლამენტის წევრის საშუალო ასაკი **51 წელია**. საპარლამენტო უმრავლესობის წევრთა **საშუალო ასაკი, დაახლოებით, 54 წელია, ხოლო საპარლამენტო უმცირესობის წევრთა - 46 წელი**.

საანგარიშო პერიოდში ყველაზე ასაკოვანი დეპუტატია **გიორგი ოჩიაური (უმცირესობა, უფლებამოსილება შეუწყდა ვადამდე 2015 წლის 18 მარტს - 88 წლის, ხოლო ყველაზე ახალგაზრდა - მარიამ საჯაია (უმცირესობა) - 24 წლის**.

6.2. პარლამენტის წევრთა განათლება და სპეციალობა⁶

საქართველოს პარლამენტის წევრთა შორის ერთდროულად ორ სპეციალობაში განათლება მიღებული აქვს 20 დეპუტატს, ხოლო ორზე მეტ სპეციალობაში - პარლამენტის 5 წევრს.

პარლამენტის წევრთაგან 1 აკადემიკოსი, 10 - დოქტორი და 14 მეცნიერებათა კანდიდატია.

პარლამენტის წევრთა შორის ლიდრობენ იურისტები, ეკონომისტები და ინჟინრები.

საქართველოს პარლამენტის წევრთა შორის ყველაზე მეტი იურისტი, კერძოდ, სამართალმცოდნეა - 47 დეპუტატი, მას მოსდევს ეკონომიკის დარგის სპეციალისტი - 25, ხოლო 24 დეპუტატი სხვადასხვა საინჟინრო დარგების სპეციალისტია. აღსანიშნავია, რომ პარლამენტის 4 წევრი სპორტის სპეციალისტია, 3 - მსახიობი, 1 - ღვთისმეტყველი, ხოლო 1 - მხატვარი.

რაც შეეხება პარლამენტის ქალ წევრებს, 17 ქალი დეპუტატიდან უმეტესობა, 10 წევრი სამართალმცოდნეა, 2 ჟურნალისტი, 1 დიპლომატიისა და საერთაშორისო სამართლის სპეციალისტი, 1 ფსიქოლოგი, 1 ინჟინერ-მექანიკოსი. ქალი დეპუტატები ფლობენ, აგრეთვე, მედიცინის, აღმოსავლეთმცოდნეობის, ისტორიის, ქიმიის, ბიოლოგიის სპეციალობებს.

⁶ ინფორმაციის წყარო www.parliament.ge

თავი 7

ქალთა მონაწილეობა საპარლამენტო ცხოვრებაში

2014 წელს საკანონმდებლო ორგანოს წევრთაგან 17 იყო ქალი: ბესელია ევა, ბოკუჩავა თინათინი, გოგორიშვილი ხათუნა, გოგუაძე ნინო, ვერულაშვილი მარია, თაქთაქიშვილი ჩიორა, კობახიძე მანანა, კორძაია თამარი, მალრაძე გუგული, მიროტაძე ანი, ნადირაშვილი ირმა, საჯაია მარიამი, ყვინიშვილი ნანა, ჩაფიძე ელისო, ჩხეტიანი დარეჯანი, ხალვაში ფატი, ხიდაშელი თინათინი. აქედან 7 - მაჟორიტარია, ხოლო დანარჩენი 10 - პარტიული სიით არჩეული.

11 დეპუტატი საპარლამენტო უმრავლესობას წარმოადგენს, 5 - საპარლამენტო უმცირესობას, ხოლო 1 - ფრაქცია "თავისუფალ დემოკრატებს". ეს რიცხვი (17) პარლამენტის წევრთა საერთო რაოდენობის (150) დაახლოებით 11%-ს შეადგენს. აღსანიშნავია, რომ საქართველოს მოსახლეობის 53% ქალია. ერთპალატიან პარლამენტებში ქალთა წარმომადგენლობის მსოფლიო მაჩვენებელი 22.3%-ია⁷, რაც ბევრად აღემატება საქართველოს პარლამენტის მაჩვენებელს. კერძოდ, საკანონმდებლო ორგანოში ქალთა წარმომადგენლობით საქართველო მსოფლიოში 107-ე ადგილზეა⁸.

პარლამენტში (იგულისხმება არა მხოლოდ უკანასკნელი მონვევის პარლამენტი) ქალი დეპუტატების რაოდენობის დაბალი მაჩვენებლის გამო, რამდენიმე არასამთავრობო ორგანიზაცია ლობირებს იდეას საკანონმდებლო ორგანოში გენდერული კვოტის დაწესებაზე⁹.

ქალ პარლამენტის წევრებს შორის მაღალი საპარლამენტო თანამდებობები უკავიათ მანანა კობახიძეს (პარლამენტის თავმჯდომარის პირველი მოადგილე) და ევა ბესელიას (ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის თავმჯდომარე).

პარლამენტის წევრთა ხუთეულში, რომლებსაც 2014 წელს ყველაზე მეტი კანონპროექტი აქვთ ინიცირებული 2 ქალია.

საანგარიშო პერიოდში, საკანონმდებლო ინიციატივის თვალსაზრისით, პარლამენტის წევრი ქალები საშუალოდ უფრო აქტიურები იყვნენ, მამაკაც კოლეგებთან შედარებით. პარლამენტის ქალი წევრების სახელზე 43 ინიციატივა (საშუალოდ 2,5 ინიციატივა პარლამენტის ერთ წევრზე) დარეგისტრირდა, ხოლო პარლამენტის მამაკაც წევრებზე - 188 ინიციატივა (საშუალოდ 1,41 პარლამენტის ერთ წევრზე).

ევა ბესელიამ 18 კანონპროექტის ინიცირება მოახდინა, თამარ კორძაიამ - 12, გუგული მალრაძემ - 5, ანი მიროტაძემ - 1.

მიუხედავად იმისა, რომ საკანონმდებლო ორგანოში ქალი პარლამენტარების რაოდენობა მხოლოდ 11%-ია, პარლამენტის საქმიანობაში ქალების მონაწილეობა გადამწყვეტ როლს ასრულებს. პარლამენტის აპარატის გენდერული ბალანსი რადიკალურად განსხვავდება პარლამენტის წევრთა გენდერული ბალანს-

⁷ Woman in National Parliaments. Inter-Parliamentary Union. <http://www.ipu.org/wmn-e/world.htm>
⁸ Woman in National Parliaments. Inter-Parliamentary Union. <http://www.ipu.org/wmn-e/classif.htm>
⁹ 2003 წელს საქართველოს პარლამენტში კვოტირების სისტემის დანერგვის ინიციატივამ ვერ ჰპოვა მხარდაჭერა ქალთა დისკრიმინაციის ყველა ფორმის ლიკვიდაციის კომიტეტის 29-ე, 34-ე და 35-ე რეკომენდაციების მიუხედავად, რაც საქართველოს მთავრობას ავალდებულებს სპეციალური დროებითი ღონისძიებების გატარებას, კერძოდ, პოლიტიკურ ცხოვრებაში ქალთა მონაწილეობის კვოტირების დაწესებას. 2003 წლის შემდეგ აღნიშნული საკითხი საკანონმდებლო ორგანოში აღარ განხილულა.

სისაგან. პარლამენტის თანამშრომელთა 58% ქალია, მაგრამ სტრუქტურული ერთეულის უფროსების 61% მაინც მამაკაცებზე მოდის. თუმცა დეპარტამენტებში განყოფილებების უფროსების 59% -ს და მთავარი სპეციალისტების 74%-ს ქალები შეადგენენ.

ცხრილი 6. პარლამენტის აპარატის თანამშრომელთა განაწილება სქესისა და თანამდებობების მიხედვით					
განყოფილების დონეზე	მამაკაცი	%	ქალი	%	სულ
სტრუქტურული ერთეულის უფროსი	19	61	12	39	31
განყოფილების უფროსი დეპარტამენტში	15	41	22	59	37
მთავარი სპეციალისტი	21	26	60	74	81
ნამყვანი სპეციალისტი	74	38	120	62	194
უფროსი სპეციალისტი	20	35	37	65	57
სპეციალისტი	10	22	35	78	45
დამხმარე სპეციალისტი	23	23	75	77	98
შტატგარეშე მოსამსახურე	120	75	41	25	161
თანაშემწე	10	40	15	60	25
მონვეული სპეციალისტი (ფრაქციებისა და დროებითი კომისიების აპარატები)	37	38	61	62	98
პარლამენტის აპარატის სრული სურათი	349	42	478	58	827

თავი 8 გენდერული თანასწორობის საბჭო

საქართველოს პარლამენტში შექმნილია გენდერული თანასწორობის საბჭო პარლამენტის 12 წევრის შემადგენლობით. საბჭოში შედიან უმრავლესობისა და უმცირესობის წარმომადგენლები: კობახიძე მანანა - საბჭოს თავმჯდომარე; აგულაშვილი გიგლა; ბაქრაძე დავითი; ბესელია ევა; ბოკუჩავა თინათინი; გობალიშვილი გიორგი; დოლიძე ვიქტორი; მალრაძე გუგული; საჭაია მარიამი; სესიაშვილი ირაკლი; ყვინიშვილი ნანა; ცაგარეიშვილი გიორგი.

საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭომ გაეროს მხარდაჭერით მოამზადა დადგენილების პროექტი: „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის განხორციელების

ლონისძიებათა 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ შესახებ, რომელიც დამტკიცდა 2014 წლის 24 იანვარს (დადგენილება №1945).

გენდერული თანასწორობის საბჭო თანამშრომლობს საერთაშორისო ორგანიზაციებთან. მისი წარდგინებით გაეროს ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის წევრად 2014 წლის 26 ივნისს, ოთხი წლის ვადით არჩეულ იქნა საქართველოს წარმომადგენელი ლიკა ნადარაია.

2014 წლის 8 ივლისს, ჟენევაში, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის ოფისში, ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტის 58-ე სესიის ფარგლებში განხილულ იქნა საქართველოს ანგარიში. ანგარიშის მომზადებას კოორდინირებდა გენდერული თანასწორობის საბჭო. ქალთა მიმართ დისკრიმინაციის აღმოფხვრის კომიტეტზე საქართველოს დელეგაციას ხელმძღვანელობდა პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს თავმჯდომარე მანანა კობახიძე.

საბჭოს ძირითადი ამოცანაა განახორციელოს საქართველოს კანონმდებლობის ანალიზი და შეიმუშაოს წინადადებები კანონმდებლობაში არსებული გენდერული უთანასწორობის აღმოფხვრის უზრუნველსაყოფად, მოახდინოს საკანონმდებლო ინიციატივით წარდგენილი საკანონმდებლო აქტების პროექტების ექსპერტიზა გენდერული თანასწორობის შეფასების კუთხით. **გენდერული თანასწორობის საბჭოს არ ჰყავს საკუთარი აპარატი (მხოლოდ ერთი კოორდინატორით შემოიფარგლება, რომელს ამავე დროს ვიცე სპიკერის თანაშემწეცაა). შესაბამისად, გენდერული საბჭოს მიერ აღნიშნული ფუნქციების შესრულება არაეფექტურია და ხშირად ფორმალურ ხასიათს ატარებს.**

2014 წელს, ქალთა უფლებების დაცვის მიმართულებით, საკანონმდებლო ორგანომ რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაბიჯი გადადგა. მართალია, **კანონპროექტების განხილვა არ მომხდარა გენდერული საბჭოს სპეციალურ სხდომებზე, მაგრამ საბჭოს წევრები აქტიურად იყვნენ ჩართული კანონპროექტების შემუშავებისა და განხილვის პროცესში.**

სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზი

2014 წელს საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისს პირველად ჰქონდა სახელმწიფო ბიუჯეტის გენდერული ანალიზის მცდელობა. თუმცა პარლამენტმა რეალურად ვერ განახორციელა ბიუჯეტის პროექტის გენდერული ანალიზი შემდეგ გარემოებათა გამო: საქართველოს პარლამენტის დადგენილებით (24.01.2014) - „საქართველოში გენდერული თანასწორობის პოლიტიკის ღონისძიებათა განხორციელების 2014-2016 წლების სამოქმედო გეგმის“ დამტკიცების შესახებ - განისაზღვრა გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში. დადგენილების თანახმად, საქართველოს საბიუჯეტო ორგანიზაციებმა, საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის პროექტის ფორმირების პროცესში, პროგრამების სპეციფიკიდან გამომდინარე უნდა უზრუნველყონ გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინება. აღნიშნული ინფორმაციის საფუძველზე, საქართველოს პარლამენტის საბიუჯეტო ოფისმა უნდა მოახდინოს საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ კანონპროექტის გენდერული ანალიზი და მოამზადოს რეკომენდაციები. რადგან გენდერული თანასწორობის ასპექტების გათვალისწინების ვალდებულება კანონით არ არის განსაზღვრული, საბიუჯეტო ორგანიზაციების/სამინისტროების მიერ, შესაბამის პროექტებში არ იქნა გათვალისწინებული გენდერული თანასწორობის ასპექტები. აღნიშნულიდან გამომდინარე, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისი მოკლებული იყო შესაძლებლობას განეხორციელებინა გენდერული ანალიზი საერთაშორისო პრაქტიკით გათვალისწინებული მაჩვენებლებით. შესაბამისად, პარლამენტის საბიუჯეტო ოფისის მიერ განხორციელებული ბიუჯეტის გენდერული ანალიზი ფორმალურ ხასიათს ატარებს და მხოლოდ სამ გვერდს მოიცავს.

გენდერული ბიუჯეტი ასახავს სახელმწიფო სახსრების განაწილებისა და მოხმარების თანაფარდობას გენდერული პარამეტრებით. შემდგომში იგი განსაზღვრავს ქალისა და მამაკაცის როლსა და ადგილს საზოგადოებისა და ეკონომიკის განვითარების პროცესში და ავლენს თითოეულის მოთხოვნებსა და ინტერესებს, კერძოდ, გენდერულ დისბალანსსა და უთანასწორობას, ქალსა და მამაკაცს შორის სოციალურ-ეკონომიკური სხვაობის შემცირებას.

ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ მიმართული საკანონმდებლო ცვლილებები

ევროსაბჭოს კონვენციას “ქალთა მიმართ ძალადობის პრევენციისა და აღკვეთის შესახებ” (სტამბოლის კონვენცია) საქართველო შეუერთდა 2014 წლის 20 ივნისს. კონვენცია მონაწილე მხარეებს ევროპის ქვეყნების ძალადობის წინააღმდეგ ბრძოლის ერთიანი სამართლებრივი მექანიზმებისა და იურიდიული ნორმების შემუშავებას ავალდებულებს. დოკუმენტზე ხელმოწერილი ქვეყნები იღებენ ვალდებულებას, საკანონმდებლო დონეზე უზრუნველყონ ქალთა დაცულობა ოჯახში ძალადობისაგან, აწარმოონ ქალთა მიმართ განხორციელებული ძალადობის სტატისტიკა; იზრუნონ ოჯახში ძალადობის შესახებ საზოგადოების ინფორმირებულობაზე, ძალადობის მსხვერპლთა რეაბილიტაციასა და დაცვაზე. აღნიშნული კონვენციის რატიფიცირებამდე საჭიროა შესაბამისი საკანონმდებლო ცვლილებები, რათა მოხდეს არსებული კანონმდებლობის სტამბოლის კონვენციასთან ჰარმონიზება.

2014 წლის ოქტომბერში ცვლილებები შევიდა კანონში „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“. ამ ცვლილებების ინიციატორი იყო საქართველოს პარლამენტის გენდერული თანასწორობის საბჭოს წევრი გუგული მალრაძე.

საქართველოს კანონს „ოჯახში ძალადობის აღკვეთის, ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა დაცვისა და დახმარების შესახებ“ დაემატა ნორმები, რომელმაც განსაზღვრა ოჯახში ძალადობის შედეგად დაზარალებული პირის უფლებები და მათი დაცვის გარანტიები. განისაზღვრა ძალადობის ახალი ფორმა, უგულვებელყოფა, რომელიც ბავშვების მიმართ მშობლის მოვალეობის შეუსრულებლობას ეხება. მსხვერპლს მიენიჭა უფლებამოსილება მიმართოს შესაბამის სახელმწიფო ორგანოს ოჯახში ძალადობის შედეგად მიყენებული ზიანის ანაზღაურების მოთხოვნით; ასევე, კანონმდებლობით დადგენილი წესით მიიღოს კომპენსაცია, თუ მასზე მიყენებული ზიანი არ ანაზღაურდება მსხვერპლის მომსახურებისა და დაცვისათვის განსაზღვრული კანონითა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა ღონისძიებებით. აღნიშნულიდან გამომდინარე, შესაბამისი ცვლილებები შევიდა 10 საკანონმდებლო აქტში.

ცვლილებები სისხლის სამართლის კოდექსში

ქალთა უფლებების დასაცავად მნიშვნელოვანი ცვლილებები განხორციელდა სისხლის სამართლის კოდექსში. 2014 წლის 17 ოქტომბერს საქართველოს პარლამენტმა, მიიღო კანონი, რომლის თანახმად, ქორწინების იძულება სისხლის სამართლის დანაშაულად განიხილება (სისხლის სამართლის კოდექსის 1501 მუხლი). ქორწინების (მათ შორის არარეგისტრირებულის) იძულება საზოგადოებისათვის სასარგებლო შრომითი ვადით, ორასიდან ოთხას საათამდე, ანდა თავისუფლების აღკვეთით, ვადით ორ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი წინასწარი შეცნობით არასრულწლოვანის მიმართ, ისჯება ორიდან ოთხ წლამდე თავისუფლების აღკვეთით.

2014 წელს პარლამენტში ინიცირებულ იქნა კანონპროექტი, რომელიც ითვალისწინებდა სისხლის სამართლის კოდექსში ცვლილებებს და ოჯახში ძალადობის შემთხვევაში სასჯელის გამკაცრებას. სისხლის სამართლის კოდექსით, ოჯახში ძალადობა ისჯებოდა საზოგადოებისთვის სასარგებლო შრომით, ვადით ოთხმოციდან ას ორმოცდაათ საათამდე. ცვლილების თანახმად, სასჯელად განისაზღვრა თავისუფლების აღკვეთა ერთ წლამდე, ხოლო იგივე ქმედება ჩადენილი დამამძიმებელ გარემოებებში - სამ წლამდე. ცვლილებები ძალაში შევიდა 2015 წლის 12 მარტს.

მარტოხელა მშობლის სტატუსის განსაზღვრა

2014 წლის 11 დეკემბერს ცვლილება შევიდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 1191 მუხლში, რომელმაც მარტოხელა მშობლის სტატუსი განსაზღვრა. ცვლილების თანახმად, მარტოხელა დედა არის პირი, რომელსაც ჰყავს ქორწინების გარეშე დაბადებული 18 წლამდე ასაკის შვილი, თუ ბავშვის დაბადების აქტის ჩანაწერში არ არის შეტანილი ჩანაწერი ბავშვის მამის შესახებ, აგრეთვე პირი, რომელსაც ჰყავს შვილად აყვანილი 18 წლამდე ასაკის ბავშვი და რომელიც ბავშვის შვილად აყვანის მომენტში არ იმყოფებოდა რეგისტრირებულ ქორწინებაში. ცვლილების თანახმად, მარტოხელა მშობლის სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიები განისაზღვრება კანონით. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალური და სამართლებრივი დაცვის გარანტიების განსაზღვრამ გადაინია 2015 წლის 15 ივნისამდე. იმედია, საკანონმდებლო ორგანო მარტოხელა მშობლის ცნების დეფინიზაზე არ შეჩერდება და მარტოხელა მშობლის კანონმდებლობით დაცვის გარანტიებსაც შეიმუშავებს.

თავი 9 პარლამენტის წევრთა აქტივობა

„საერთაშორისო-გამჭვირვალობა საქართველომ“ პარლამენტის წევრთა აქტივობა ორი ძირითადი კრიტერიუმით შეაფასა:

1. პარლამენტის წევრის პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის სიხშირე: განცხადებების გაკეთება, შეკითხვების დასმა, კანონპროექტებთან თუ სხვა განსახილველ საკითხებთან დაკავშირებით მოსაზრებების გამოთქმა;
2. პარლამენტის წევრისთვის მინიჭებული საკანონმდებლო ინიციატივის წარდგენის უფლება.

9.1. პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

პარლამენტის წევრის აქტივობის შეფასების ერთ-ერთ კრიტერიუმად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ დეპუტატის მიერ პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის უფლებით სარგებლობის რაოდენობა მიიჩნია.

ორი წლის მონაცემებით, 2013 წელს, 51 დეპუტატს საშუალოდ 30 და მეტი სიტყვით გამოსვლა ჰქონდა. ხოლო 2014 წელს აღნიშნულმა რაოდენობამ 33 შეადგინა. **თუკი 2013 წლის მონაცემებით (30 და მეტი გამოსვლა) უმრავლესობა აქტიურობდა, 2014 წელს, ამ კუთხით უკვე უმცირესობა ლიდერობდა.** 2013 წლის მაჩვენებლით, სიტყვით გამოსვლის უფლებით პარლამენტარების სიითი შემადგენლობის მიხედვით, უმრავლესობის 84-მა წარმომდგენელმა ისარგებლა, უმცირესობიდან - 52-მა, ხოლო 2014 წელს - უმრავლესობიდან 64 დეპუტატმა, ხოლო უმცირესობიდან - 42-მა.

2014 წელს აღნიშნული უფლებით საერთოდ არ უსარგებლია პარლამენტის 36 წევრს. (იხ დანართი N1)

2014 და 2013 წლებში, **სიტყვით გამოსვლის უფლებით საერთოდ არ უსარგებლიათ** შემდეგ დეპუტატებს: **ვალერი გელაშვილს, მახირ დარზიევს, გონა ენუქიძეს, მარიკა ვერულაშვილს, ზაზა კედელაშვილს, გოგი ლიპარტელიანს, ალი მამედოვს, ენზელ მკოიანს, კობა ნაყოფიას, რამაზ ნიკოლაიშვილს, აზერ სულეიმანოვს, ერეკლე ტრიპოლსკის, გიორგი ფეიქრიშვილს, ლევან ქარდავას, თამაზ ყაჭეიშვილს, ნიკოლოზ ყიფშიძეს, რევაზ შავლობაშვილს, იაშა შერვაშიძეს, თამაზ შიოშვილს, თეიმურაზ ჩხაიძეს, თენგიზ ხუბულურს, ნაულ ჯანაშიას.**

პლენარულ სხდომებზე ყველაზე ხშირად სიტყვით გამოვიდნენ შემდეგი დეპუტატები:

უმრავლესობა


1. ბაქარია ქუცნაშვილი - 122
2. ეკა ბესელია - 94
3. ვახტანგ ხმალაძე - 80

უმცირესობა

1. სერგო რატიანი - 165
2. ხათუნა გოგორიშვილი - 120
3. ჩიორა თაქთაქიშვილი - 114

დეტალური ინფორმაცია თითოეული დეპუტატის სიტყვით გამოსვლის უფლებით სარგებლობის შესახებ იხილეთ დანართში (N1)

დიაგრამა 2. პარლამენტის წევრთა პლენარულ სხდომებზე სიტყვით გამოსვლის რაოდენობა (30 და მეტი)



9.2. პარლამენტის წევრების მიერ 2014 წლის საგარეო ურთიერთობების, საგარეო ურთიერთობების და რეგისტრაციის სამსახურში დასრულებული კანონპროექტების რაოდენობა და ინიციატივები

2014 წელს საკანონმდებლო ინიციატივის უფლება გამოიყენა პარლამენტის წევრთა მხოლოდ 25,3 %-მა. საკანონმდებლო ინიციატივის რაოდენობით აშკარად ლიდერობს უმრავლესობა. 38 პარლამენტარს შორის, რომლებმაც 2014 წელს თუნდაც ერთი კანონპროექტის ინიცირება მოახდინეს, 32 უმრავლესობის წევრია. წინა წლის მაჩვენებლის მიხედვით, სულ მცირე ერთი კანონპროექტის ინიცირება 54 დეპუტატმა მოახდინა, აქედან 46 - უმრავლესობის წარმომადგენელია.

2014 წელს დეპუტატების მიერ ინიცირებული კანონპროექტების რაოდენობა

1. ვახტანგ ხმალაძე (უმრავლესობა) – 24
2. დავით ონოფრიშვილი (თავისუფალი დემოკრატები) - 21
3. ეკა ბესელია (უმრავლესობა) – 18
4. გედევან ფოფხაძე (უმრავლესობა) – 16
5. თამარ კორძაია (უმრავლესობა) – 12
6. გიგა ბუკია (უმრავლესობა) – 9
7. გიორგი კახიანი (უმრავლესობა) – 9
8. შალვა შავგულიძე (თავისუფალი დემოკრატები) – 9
9. გიორგი ჟორჯოლიანი (უმრავლესობა) – 9
10. ზვიად ძიძიგური (უმრავლესობა) - 9
11. პაატა კიკნაველიძე (უმრავლესობა) – 8
12. მანანა კობახიძე (უმრავლესობა) – 7
13. გიორგი გომბალიშვილი (უმრავლესობა) – 7
14. ირაკლი სესიაშვილი (უმრავლესობა) – 7
15. ნოდარ ებანიძე (უმრავლესობა) – 7
16. შალვა კიკნაველიძე (უმრავლესობა) – 7
17. დავით ბერძენიშვილი (უმრავლესობა) – 6
18. მალხაზ ვახტანგაშვილი (უმრავლესობა) – 6
19. გუგული მადრაძე (უმრავლესობა) – 5
20. ზურაბ ტყემალაძე (უმრავლესობა) - 5
21. თამაზ ავდალიანი (უმრავლესობა) – 3
22. გიორგი თოფაძე (უმრავლესობა) – 3
23. სერგო რატიანი (უმცირესობა) – 3
24. გიორგი ხაჩიძე (უმცირესობა) - 3
25. გიორგი ცაგარეიშვილი (თავისუფალი დემოკრატები) – 2
26. ფრიდონ საყვარელიძე (უმრავლესობა) – 2
27. ირაკლი ჩიქოვანი (თავისუფალი დემოკრატები) – 2
28. ზვიად კვაჭანტირაძე (უმრავლესობა) – 2
29. თამაზ ჭაფარიძე (უმრავლესობა) – 1
30. ბაქარია ქუცნაშვილი (უმრავლესობა) – 1
31. მერაბ კაჭახიძე (უმრავლესობა) - 1
32. ზაზა პაპუაშვილი (უმრავლესობა) – 1

33. ალექსანდრე ქანთარია (უმრავლესობა) – 1
34. პაატა კვიციანიძე (უმრავლესობა) – 1
35. თემურ მაისურაძე (უმრავლესობა) - 1
36. გიორგი ვოლსკი (უმრავლესობა) – 1
37. ანი მიროტაძე (უმრავლესობა) – 1
38. დავით საგანელიძე (უმრავლესობა) - 1

2014 წელს მიღებული კანონპროექტების რაოდენობა

1. ვახტანგ ხმალაძე (უმრავლესობა) - 16 კანონი
2. დავით ონოფრიშვილი (თავისუფალი დემოკრატები) - 16 კანონი
3. ეკა ბესელია (უმრავლესობა) - 14 კანონი
4. გუგული მადრაძე (უმრავლესობა) - 13 კანონი
5. გიორგი ჟორჯოლიანი (უმრავლესობა) - 9 კანონი
6. შალვა შავგულიძე (თავისუფალი დემოკრატები) - 8 კანონი
7. თამარ კორძაია (უმრავლესობა) - 8 კანონი
8. გოდერძი ბუკია (უმრავლესობა) - 7 კანონი
9. ირაკლი სესიაშვილი (უმრავლესობა) – 7 კანონი
10. პაატა კიკნაველიძე (უმრავლესობა) - 7 კანონი
11. გედევან ფოფხაძე (უმრავლესობა) - 6 კანონი
12. ზვიად ძიძიგური (უმრავლესობა) - 6 კანონი
13. შალვა კიკნაველიძე (უმრავლესობა) - 6 კანონი
14. ზურაბ ტყემალაძე (უმრავლესობა) - 5 კანონი
15. მანანა კობახიძე (უმრავლესობა) - 5 კანონი
16. მალხაზ ვახტანგაშვილი (უმრავლესობა) - 5 კანონი
17. დავით ბერძენიშვილი (უმრავლესობა) - 5 კანონი
18. გიორგი თოფაძე (უმრავლესობა) - 5 კანონი
19. გიორგი გომბალიშვილი (უმრავლესობა) - 5 კანონი
20. გიორგი ცაგარეიშვილი (თავისუფალი დემოკრატები) - 4 კანონი
21. თამაზ ავდალიანი (უმრავლესობა) - 4 კანონი
22. ნოდარ ებანიძე (უმრავლესობა) - 3 კანონი
23. ირაკლი ჩიქოვანი (თავისუფალი დემოკრატები) - 2 კანონი
24. ანი მიროტაძე (უმრავლესობა) - 2 კანონი
25. გიორგი ვოლსკი (უმრავლესობა) - 2 კანონი
26. ფრიდონ საყვარელიძე (უმრავლესობა) - 1 კანონი
27. გიორგი კახიანი (უმრავლესობა) - 1 კანონი
28. მალხაზ წერეთელი (უმრავლესობა) - 1 კანონი
29. ირინა იმერლიშვილი - 1 კანონი
30. თემურ მაისურაძე (უმრავლესობა) - 1 კანონი
31. ერეკლე ტრიპოლსკი (უმრავლესობა) - 1 კანონი
32. ზურაბ ზვიადაური (უმრავლესობა) - 1 კანონი
33. ალექსანდრე ქანთარია (უმრავლესობა) - 1 კანონი
34. ზვიად კვაჭანტირაძე (უმრავლესობა) - 1 კანონი
35. მერაბ კაჭახიძე (უმრავლესობა) - 1 კანონი

თავი 10

დეპუტატების მონაწილეობა პლენარულ სხდომებსა და საკომიტეტო მუშაობაში, დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი

2014 წელს საქართველოს პარლამენტში, საპატიო მიზეზით პლენარული სხდომის **1927** გაცდენა დაფიქსირდა. არასაპატიო მიზეზით ერთზე მეტი სხდომის გაცდენისთვის **16** დეპუტატს დაუკავდა ხელფასის 10%. (პარლამენტის რეგლამენტის თანახმად, პარლამენტის წევრს ხელფასი არ უკავდება რიგგარეშე სხდომის გაცდენის შემთხვევაში).

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტიდან გამოითხოვა ინფორმაცია პლენარულ სხდომებში პარლამენტის წევრთა მონაწილეობის შესახებ.


10.1. პლენარული სხდომების საპატიო მიზეზებით გაცდენა

მიღებული ინფორმაციის თანახმად, საქართველოს პარლამენტის 2014 წლის საგარეო ურთიერთობების და რეგისტრაციის განყოფილებაში პარლამენტის წევრებმა, სხვადასხვა საპატიო მიზეზით გააცდინეს პლენარული სხდომების შემდეგი რაოდენობა:

- ავადმყოფობის გამო - 182;
- ოჯახური მდგომარეობის გამო - 1377;
- სამსახურებრივ მივლინებაში ყოფნის გამო - 368 გაცდენა.

წარმოგიდგინთ ინფორმაციას პარლამენტის იმ წევრებზე (10 დეპუტატი უმრავლესობიდან, 10 - უმცირესობიდან), რომელთაც საპატიო მიზეზით გაცდენილი აქვთ ყველაზე მეტი პლენარული სხდომა.


დიაგრამა 3. პლენარული სხდომების საპატიო მიზეზით გაცდენის რაოდენობა



10.2. პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების არასაპატიო მიზეზით გაცდენა


2014 წლის საშემოდგომო და საგაზაფხულო სესიებზე პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზით ყველაზე მეტი გაცდენა აქვთ - მარიკა ვერულაშვილს (17 გაცდენა), მარიამ საჭაიას (16 გაცდენა), რამამ ნიკოლაიშვილს (12 გაცდენა).

დიაგრამა 4.
პლენარული სხდომების არასაპატიო მიზეზებით გაცდენის რაოდენობა



კომიტეტების სხდომების გაცდენაში ლიდერობენ უმცირესობის წარმომადგენლები. გაცდენების მიზეზად უმცირესობას დეკლარირებული აქვს კომიტეტის სხდომების თბილისში მდებარე პარლამენტის შენობაში გამართვა.

დიაგრამა 5.
კომიტეტის სხდომების არასაპატიო მიზეზით გაცდენების რაოდენობა



10.3. პარლამენტის წევრთა დისციპლინური პასუხისმგებლობა

2014 წლის საგარეო ურთიერთობების და საგარეო ურთიერთობების სესიებზე გაცდენების გამო დისციპლინური პასუხისმგებლობა პარლამენტის 15 წევრს დაეკისრა.

პარლამენტის 15 წევრს, კალენდარული თვის განმავლობაში არასაპატიო მიზეზით გაცდენილი ერთზე მეტი სხდომის გამო, ხელფასის 10% დაუკავდა, ესენი არიან:

1. ბარამიძე გიორგი (უმცირესობა)
2. ვერულაშვილი მარიკა (უმრავლესობა)
3. ხაჩიძე გიორგი (უმცირესობა)
4. კარბელაშვილი გიორგი (უმცირესობა)
5. საჯაია მარიამ (უმცირესობა) - 2-ჯერ
6. მინაშვილი აკაკი (უმცირესობა)
7. საყვარელიძე დავით (უმცირესობა)
8. მელაძე გიორგი (უმცირესობა)
9. ნაყოფია კობა (უმცირესობა)
10. ჩიქოვანი ირაკლი (ფრ. თავისუფალი დემოკრატები)
11. გაჩეჩილაძე გიორგი (სხვა)
12. თოფაძე გიორგი (უმრავლესობა)
13. ჯაფარიძე ვიქტორ (უმრავლესობა)
14. ნიკოლაიშვილი რამაზ (უმცირესობა) - 2-ჯერ
15. აკაკი ბობოხიძე (უმცირესობა)

საქართველოს პარლამენტის რეგლამენტის 286-ე მუხლის მეხუთე პუნქტის შესაბამისად, საქართველოს პარლამენტის სხდომათა დარბაზის დატოვების გამო პარლამენტის წევრის, აკაკი ბობოხიძის მიმართ დადგა დისციპლინური პასუხისმგებლობის საკითხი და მას დაექვითა სანქციის დღის ხელფასი და პარლამენტის წევრის უფლებამოსილების განხორციელებასთან დაკავშირებული სხვა ანაზღაურება.

თავი 11 პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შეფასება

პარლამენტის მუშაობის შესაფასებლად „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველომ“ ინფორმაცია გამოითხოვა ცალკეული კომიტეტებიდან და პარლამენტის საორგანიზაციო დეპარტამენტიდან. პარალელურად, კომიტეტების მუშაობის შესახებ სრული ინფორმაციის მისაღებად, გამოვითხოვეთ ანგარიშები თითოეული კომიტეტისგან.

აღსანიშნავია, რომ 2014 წლის საგარეო ურთიერთობების სესიის პერიოდში „განუვლი საქმიანობის შესახებ“ კომიტეტების უმეტესობის ანგარიში ინტერნეტ გვერდზე არ არის განთავსებული. პარლამენტის ვებ გვერდზე მხოლოდ შემდეგი კომიტეტების ანგარიშები იქნებოდა:

- ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი;
- გარემოს დაცვის კომიტეტი;
- ევროპასთან ინტეგრაციის კომიტეტი;
- საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტი;
- ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტი.

პარლამენტის ინტერნეტ გვერდზე არ არის განთავსებული, ასევე, კომიტეტების მომდევნო წლის სამოქმედო გეგმა. პარლამენტის ინტერნეტ გვერდზე მხოლოდ ორი კომიტეტის სამოქმედო გეგმაა განთავსებული: აგრარულ საკითხთა კომიტეტის და ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტის. საპარლამენტო საქმიანობის დიალოგისა და გამჭვირვალობისთვის ძალზე მნიშვნელოვანია, რომ საკომიტეტო საქმიანობის შესახებ ინფორმაცია ყველა მოქალაქისთვის იყოს საჭაროდ ხელმისაწვდომი. ამ მიზნით აუცილებელია ინფორმაცია განთავსდეს პარლამენტის ინტერნეტ გვერდზე.

წარმოდგენილ ანგარიშში პარლამენტის კომიტეტების მუშაობა შეფასებულია შემდეგი ოთხი კრიტერიუმით:

1. კომიტეტის მიერ ინიცირებული კანონპროექტებისა და პარლამენტის დადგენილების პროექტების რაოდენობა;
2. განხილული კანონპროექტების რაოდენობა;
3. საკომიტეტო სხდომების რაოდენობა;
4. მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება.


11.1. კომიტეტების საკანონმდებლო პროცესში მონაწილეობა

2014 წლის საგარეო ურთიერთობების და საგარეო ურთიერთობების სესიაზე ყველაზე მეტი კანონპროექტის ინიცირება განხორციელდა რეგიონული პოლიტიკისა და თვითმმართველობის კომიტეტის მიერ - 18 კანონპროექტი. 8 კანონპროექტი იქნა ინიცირებული ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტის მიერ; განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის მიერ - 6 კანონპროექტი.

განხილული კანონპროექტების რაოდენობით ლიდერობს ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი, რომელმაც 144 კანონპროექტი განიხილა. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა - 114 ; საფინანსო-საბიუჯეტო კომიტეტმა - 69;

2014 წლის საგარეო ურთიერთობების და საგარეო ურთიერთობების სესიაზე ყველაზე მეტი, 56 სხდომა ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტმა ჩაატარა, დარგობრივი ეკონომიკისა და ეკონომიკური პოლიტიკის კომიტეტმა - 53 სხდომა; იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა - 51; საფინანსო - საბიუჯეტო კომიტეტმა-51.

დიაგრამა 6.
კომიტეტების მიერ განხილული კანონპროექტები, ჩატარებული სხდომები, ინიცირებული კანონპროექტები




11.2. მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება

პარლამენტის კომიტეტების საქმიანობა მხოლოდ საკანონმდებლო პროექტების ინიცირებითა და საკომიტეტო მოსმენებით არ შემოიფარგლება. სხვადასხვა კომიტეტი, სპეციფიკიდან გამომდინარე, ბევრ სხვა მნიშვნელოვან საქმიანობას ახორციელებს. განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს მოქალაქეთა განცხადებებზე რეაგირება. მიმართვიანობის განსაკუთრებით მაღალი მაჩვენებლით **ადამიანის უფლებათა დაცვისა და სამოქალაქო ინტეგრაციის კომიტეტი** გამოირჩევა. აღნიშნულ კომიტეტში, საანგარიშო პერიოდში **11 355** კორესპონდენცია შევიდა. აქედან **6984** - განცხადება, რამაც 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით, პარლამენტში შესული წერილების საერთო რაოდენობის (26 289) **43.2%**-ს შეადგინა. კომიტეტმა რეაგირება მოახდინა **4784** კორესპონდენციაზე - სხვადასხვა უწყებებში გააგზავნა განმარტებითი ხასიათის წერილები.

მიღებული წერილების რაოდენობით შემდეგ ადგილზე იურიდიულ საკითხთა კომიტეტი, რომელსაც ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა 798 განცხადებით მიმართეს. იურიდიულ საკითხთა კომიტეტმა რეაგირება მოახდინა 770 განცხადებაზე. **ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა კომიტეტს** განცხადებით **509** მოქალაქემ მიმართა. კომიტეტმა რეაგირება მოახდინა **491** განცხადებაზე.

დიაგრამა 7.
კომიტეტებში შემოსული და განხილული განცხადებები



11.3. იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა საკონსტიტუციო სასამართლოში

საკომიტეტო საქმიანობიდან აღსანიშნავია საკონსტიტუციო სასამართლოში იურიდიულ საკითხთა კომიტეტის წარმომადგენლობა.

2013 წელს პარლამენტს საკონსტიტუციო სასამართლოში არც ერთი სასამართლო პროცესი არ მოუგია. საკონსტიტუციო სასამართლოში, არსებითი განხილვის პროცესში განხორციელდა წარმომადგენლობა 21 კონსტიტუციურ სარჩელსა და ერთი კონსტიტუციურ წარდგინებაზე. ამათგან 6 კონსტიტუციური სარჩელი და ერთი წარდგინება დაკმაყოფილდა. ხოლო დანარჩენზე საკონსტიტუციო სასამართლოს ჯერ არ მიუღია საბოლოო გადაწყვეტილება. წარმომადგენლობა განხორციელდა, ასევე, 12 კონსტიტუციური სარჩელის განმწესრიგებულ სხდომაზე, რომელთაგან სასამართლომ 4 მიიღო არსებითად განსახილველად, ერთი სარჩელი განჩინებით არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად, განჩინების გამოქვეყნების მომენტიდან ძალადაკარგულად იქნა ცნობილი სადავო ნორმები, 3 სარჩელთან დაკავშირებით წარმოება შეწყდა, ვინაიდან მოსარჩელემ უარი თქვა განხილვაზე; 2 სარჩელი ნაწილობრივ არ იქნა მიღებული არსებითად განსახილველად, ნაწილობრივ შეწყდა მოსარჩელის მიერ სარჩელის განხილვაზე უარის თქმის გამო, ხოლო 2 სარჩელთან დაკავშირებით სასამართლოს ჯერ არ მიუღია საოქმო ჩანაწერი/ განჩინება.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს პარლამენტში იგრძნობა ტენდენცია, არ იქნას აღიარებული კონსტიტუციური სარჩელი მიღებული კანონების არაკონსტიტუციურად ცნობის თაობაზე. აღნიშნული ეხება როგორც 2012 წლის მონვევის, ისე წინა მონვევის პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს. იყო შემთხვევა, როდესაც საქართველოს პარლამენტის მიერ იმ სარჩელის აღიარებაც არ მოხდა, რომლის საფუძველზეც გასაჩივრებული კანონი თავად საკანონმდებლო ორგანომ სარჩელის გახილვამდე ან განხილვიდან ცოტა ხნის შემდეგ შეცვალა (მაგ. ზურაბ მიქაძე პარლამენტის წინააღმდეგ, რევამ კოპალიანი საქართველოს წინააღმდეგ).

2014 წლის კონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია შემდეგი:

- **საკონსტიტუციო სასამართლომ 2014 წლის 24 ივნისს არაკონსტიტუციურად ცნო უცხო ქვეყნის მოქალაქეებისა და კომპანიებისთვის სასოფლო-სამეურნეო მიწის შექენაზე პარლამენტის მიერ 2014 წლის 31 დეკემბრამდე დაწესებული აკრძალვა.** მორატორიუმის შესახებ საკანონმდებლო ნორმა, რომელიც თითქმის ერთი წლის განმავლობაში მოქმედებდა, საკონსტიტუციო სასამართლოში "საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველომ" სექტემბერში გაასაჩივრა.
- 2014 წლის 8 ოქტომბერს, საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლომ მიიღო შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებების მხარდაჭერი, ძალზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილება. მოსარჩელეთა ინტერესებს წარმოადგენდა საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია. **სარჩელი** შეეხებოდა სამოქალაქო სამართლის კანონმდებლობის ნორმებს, რომლებიც მნიშვნელოვნად აკნინებდა შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირთა უფლებებს. არაკონსტიტუციურად იქნა მიჩნეული ის ნორმები, რომლებიც შეზღუდული გონებრივი შესაძლებლობების მქონე პირებს ცნობდა ქმედუნაროდ ნებისმიერი სამოქალაქო გარიგების დადებისას, იმ შემთხვევებშიც კი, როცა გარიგება გულისხმობს მართივ ქმედებას, მაგალითად, სამგზავრო ბილეთის ან საკვების შექენას. საკონსტიტუციო სასამართლომ დაადგინა, რომ მსგავსი ერთგვაროვანი მიდგომა ზღუდავს პიროვნული განვითარების კონსტიტუციურ უფლებას.

11.4. საგარეო საქმეთა კომიტეტის საქმიანობა

პარლამენტის საკომიტეტო მუშაობიდან უნდა აღინიშნოს **საგარეო საქმეთა კომიტეტის** საქმიანობა დიპლომატიური ურთიერთობების გასაუმჯობესებლად, ევროსტრუქტურებში მუშაობის გასაძლიერებლად და ქვეყნის საერთაშორისო იმიჯის გასამყარებლად. საანგარიშო პერიოდში საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 13 მოსმენა ჩაატარა მთავრობის წევრთა, ასევე, საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანი ელჩების მონაწილეობით. კომიტეტის მიერ მოსმენილ იქნა ელჩობის 8 კანდიდატი, განხილულ იქნა 36 საერთაშორისო ხელშეკრულება და კონვენცია.

თავი 12 მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა მაჟორიტარ პარლამენტის წევრთა ბიუროების საქმიანობით. მოქმედი კანონმდებლობით, ამომრჩევლებთან მუშაობის ორგანიზების, აღმასრულებელი ხელისუფლებისა და ადგილობრივი თვითმმართველობის შესაბამისი ორგანოების საქმიანობასა და ადგილობრივ დონეზე საკითხების გადაწყვეტაში პარლამენტის წევრის მონაწილეობის მიზნით, ადგილებზე იქმნება მაჟორიტარული სისტემით არჩეული პარლამენტის წევრთა ბიუროები. ბიუროს საქმიანობასთან დაკავშირებულ ხარჯებს ფარავს პარლამენტის ბიუჯეტი. პარლამენტის თითოეული მაჟორიტარი წევრის ბიუროს საქმიანობა ყოველთვიურად 5000 ლარით ფინანსდება.

2014 წელს აღნიშნული საქმიანობის შესწავლისას, ისევე როგორც წინასაანგარიშო პერიოდში, პრობლემური აღმოჩნდა ბიუროების საკონტაქტო ინფორმაციის ხელმისაწვდომობა. მაჟორიტარი პარლამენტის წევრების პერსონალურ ვებგვერდებზე (რომლებიც პარლამენტის ვებგვერდზეა მიბმული) ინფორმაცია არ არის განახლებული. ბიუროს საკონტაქტო ინფორმაციას, მისამართები და ტელეფონის ნომრები, რიგ შემთხვევებში, არასწორად აქვს მითითებული. „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ წევრებმა მხოლოდ პირადი კავშირებით შეეძლიათ ინფორმაციის მოპოვება. ასეთ შემთხვევაში კითხვის ნიშნის ქვეშ დგება საკითხი, რამდენად წარმატებით ახერხებენ მოქალაქეები მაჟორიტარ დეპუტატებთან კომუნიკაციას.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად თანამშრომლობს პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებთან. 2014 წელს ბიუროების თანამშრომლებისთვის ჩატარდა ტრენინგები შემდეგ თემებზე: „დეკლარაცია პარლამენტის წევრის ქონებრივი მდგომარეობის შესახებ - არსი და შევსების წესი“; „საჯარო ინფორმაცია - არსი, გამოთხოვა და მიწოდება“; „ცენტრალური და ადგილობრივი ხელისუფლების ფუნქციები და უფლება-მოვალეობანი“; „ბიუროების საქმიანობის ცნობადობის ამაღლება, პროექტის წერა“. ტრენინგი გაიარა მაჟორიტარი პარლამენტის წევრთა ბიუროების 60-მა თანამშრომელმა.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებში რამდენიმე შეკითხვა გააგზავნა. შეკითხვები შეეხებოდა ბიუროების საქმიანობასა და მოქალაქეებთან კომუნიკაციას. ჩვენ მიერ გაგზავნილ წერილებზე 53 ბიუროსგან პასუხები დაახლოებით ერთი თვის ვადაში მივიღეთ. შეკითხვები დასმულ იქნა შემდეგნაირად:

- 2014 წლის საგაზაფხულო და საშემოდგომო სესიების პერიოდში რამდენმა მოქალაქემ მიმართა ბიუროს (წერილობით, ზეპირად) და უმთავრესად რა პრობლემები გამოიკვეთა;
- საანგარიშო პერიოდში მაჟორიტარი პარლამენტის წევრი ბიუროს ან/და მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მიერ რამდენი საჯარო შეხვედრა გაიმართა მოქალაქეებთან, სად და რა საკითხებზე;
- ჩაატარა თუ არა მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიურომ მოსახლეობის საჭიროებების გამოსავლენად რაიმე სახის გამოკითხვა, კვლევა, ანალიზი. რა პრობლემები გამოვლენდა;
- რა სახის და რამდენად ინტენსიური კომუნიკაცია ჰქონდა ბიუროს ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან და როგორ ხორციელდებოდა მოსახლეობის პრობლემების აქცენტირება ადგილობრივი ხელისუფლების წინაშე.

12.1. ბიუროსადმი მოქალაქეთა მიმართვიანობა და უმთავრესი პრობლემები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აღნიშნული ინფორმაცია მაჟორიტარი პარლამენტის წევრების ბიუროებიდან მოწერილ პასუხებზე დაყრდნობით მოიპოვა.¹⁰

როგორც „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ 2012-2013 წლების ანგარიშში იყო მითითებული, ამჯერადაც ზეპირი მიმართვიანობა აჭარბებს წერილობითს.

ყველაზე მეტი ზეპირი მიმართვა გამოიკვეთა იოსებ ჯაჭვლიანის ბიუროში, მას მოსდევს ზურაბ აბაშიძის ბიურო. სოსო ჯაჭვლიანის ბიუროს წინა წლის მაჩვენებელიც, ზეპირი მიმართვიანობის კუთხით, საკმაოდ მაღალი იყო და 5000-ს აჭარბებდა. რაც შეეხება წერილობითი ფორმით მიმართვას, ამ მხრივ ყველაზე მეტი წერილობითი განცხადება მიიღო სოსო ჯაჭვლიანის ბიურომ (878 განცხადება). ბიუროს პასუხების ნაწილში ნაჩვენებია ერთიანი, როგორც წერილობითი, ისე ზეპირი მიმართვიანობა.

ყველაზე მეტი მიმართვა (როგორც ზეპირი, ისე წერილობითი ფორმით) ჰქონდათ შემდეგ მაჟორიტართა ბიუროებს:

- სოსო ჯაჭვლიანი - 5378
- ზურაბ აბაშიძე - 3052
- ზვიად კვაჭანტირაძე - 1364
- შოთა ხაბარელი - 1343
- ეკა ბესელია - 1249

¹⁰ ინფორმაცია მოწოდებულია პარლამენტართა ბიუროების მიერ და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ არ ჰქონდა მათი გადამოწმების შესაძლებლობა

თუ კიდევ დავაკონკრეტებთ, ყველაზე მეტი წერილობითი მიმართვა ჰქონდათ შემდეგ მაჟორიტართა ბიუროებს:

- იოსებ ჯაჭვლიანი - 878
- ზურაბ აბაშიძე - 552
- ეკა ბესელია - 449
- გურამ მისაბიშვილი - 317
- შალვა შავგულიძე - 314

რაც შეეხება ზეპირი მიმართვიანობის მაჩვენებლებს, აქ ასეთი თანმიმდევრობა შეინიშნება:

- სოსო ჯაჭვლიანი - 4500-ზე მეტი
- ზურაბ აბაშიძე - 2500
- ზვიად კვაჭანტირაძე - 1200
- მურმან დუმბაძე - 1012
- ვალერი გელაშვილი - 1000-მდე

12.2. საჯარო შეხვედრები და მნიშვნელოვანი საკითხები

მაჟორიტარი პარლამენტის წევრების მიერ უფლებამოსილების განხორციელების პროცესში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ამომრჩევლებთან შეხვედრას. საჯარო შეხვედრების რაოდენობით საანგარიშო პერიოდში გამოირჩეოდა:

- გურამ მისაბიშვილი - (98 შეხვედრა)
- ომარ მეგრელიძე - (92 შეხვედრა)
- მირიან ნიკლაური (78 შეხვედრა),
- მალხაზ ვახტანგაშვილი (72 შეხვედრა),
- ვალერი გელაშვილი (70 შეხვედრა).

შეხვედრები იმართებოდა ბიუროშიც და მას გასვლითი ხასიათიც ჰქონდა. მაჟორიტარი დეპუტატები შეხვედრებს როგორც ცალკეული უბნისა თუ სოფლის მოსახლეობას, ისე სხვადასხვა თემატურ ჯგუფებს.

12.3. ამომრჩეველთა პრობლემები და კვლევის შედეგები

მაჟორიტარ პარლამენტის წევრთა ბიუროების ეფექტიანი საქმიანობისთვის მნიშვნელოვანია მოსახლეობის პრობლემების იდენტიფიცირება და ანალიზი. ამ მიზნით შესაძლებელია ჩატარდეს მოსახლეობის (მისი გარკვეული ჯგუფის) გამოკითხვა, ასევე მოქალაქეთა განცხადებების, საჯარო შეხვედრების შედეგების შესწავლა და არსებული პრობლემების მარკირება. მოსახლეობის პრობლემებზე ინფორმაციის ფლობა აუცილებელი კომპონენტია მაჟორიტარი პარლამენტის წევრის მიერ უფლებამოსილების შედეგიანად განსახორციელებლად.

მაჟორიტარი დეპუტატების ბიუროებიდან წარმოდგენილი 51 ინფორმაციიდან 14 - ში არ ჩანდა, რომ ადგილი ჰქონდა რაიმე სახის კვლევას ან მოსახლეობის გამოკითხვას. წარმოდგენილ 14 პასუხში პრობლემის კვლევასთან დაკავშირებით არაფერია მითითებული (კვლევა ან საერთოდ არ ჩატარებულა, ანდა პასუხები არ დაფიქსირდა).

ჩვენი მოთხოვნის საფუძველზე მიღებული პასუხებიდან შემდეგი პრობლემები გამოიკვეთა:

- უმუშევრობა;
- კომუნალური და ინფრასტრუქტურული საკითხები (წყალი, გაზი, ელექტროენერჯია, გზები);
- სტიქიური მოვლენების შედეგად მიყენებული ზიანი და ავარიული სახლები;
- საკუთრების დაკანონებასთან დაკავშირებული პრობლემები;
- სამედიცინო საჭიროებები;
- დევნილთა განსახლება;
- სამსახურიდან უკანონოდ გათავისუფლება;
- შშმ პირებისათვის ხელშეწყობის გაუმჯობესების მოთხოვნა.

12.4. ბიუროები და ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოები

პარლამენტის მაჟორიტარ წევრებს ბიუროებიდან მიღებული პასუხებიდან გამომდინარე, საპარლამენტო უმცირესობის წარმომადგენელ მაჟორიტარ პარლამენტის წევრებს პრობლემები ექმნებათ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებთან ურთიერთობისას. მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში ხდება დადებითი შედეგის მიღწევა და ასეთ შემთხვევაშიც კი პასუხი ძალზე გვიანდება. კერძოდ, დედოფლისწყაროს მაჟორიტარი პარლამენტის წევრის ბიუროს პასუხში მითითებულია, რომ ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოს საერთოდ არა აქვს მასთან ურთიერთობა.

პარლამენტის მაჟორიტარი წევრების საქმიანობაზე დამატებითი ინფორმაცია იხილეთ შემდეგ გვერდზე წარმოდგენილ ცხრილში:

ცხრილი 7.
მაჟორიტარ დეპუტატთა აქტივობა

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართულების საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართულების რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართულების რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
აბაშიძე ზურაბი	თავისუფალი დემოკრატები	სამგორი	3052	552	2500	18	კი	კი
ახალაია როლანდი	უმცირესობა	ზუგდიდი						
ბეჟუაშვილი დავითი	დამოუკიდებელი დეპუტატი	თეთრიწყარო	82-ზე მეტი	32	50-ზე მეტი	ზუსტი რაოდენობა არ არის მითითებული	კი	კი
ბესელია ეკა	უმრავლესობა	ფოთი	1249	449	800	დაახლოებით 45	კი	კი
ბობოხიძე აკაკი	უმცირესობა	წყალტუბო	არ არის მითითებული	რაოდენობა არ არის მითითებული	რაოდენობა არ არის მითითებული	33	კი	კი
ბოლქვაძე ანზორი	უმრავლესობა	ხულო	230	28	202	კონკრეტული რაოდენობა მითითებული არ არის (პერიოდულად 13 ტერიტორიული ორგანოს სოფლის მოსახლეობასთან)	მითითებული არ არის	კი

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვის საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვის რაოდენობა		მოქალაქეთა ზეპირი მიმართვის რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
ბუკია გოდერძი	უმრავლესობა	ხობი	124	არ არის დაკონკრეტებული		არ არის დაკონკრეტებული	43	კი	კი
ბუცხრიკიძე კახა	უმცირესობა	თერჯოლა	400	არ არის დაკონკრეტებული		არ არის დაკონკრეტებული	15-მდე	არა	კი (ადგილობრივ ხელისუფლებასთან მართალია ბიურო იდეალურად ვერ ურთიერთობს, თუმცა ვლწევთ საკითხთა დიდი ნაწილის გადაწყვეტას)
გელაშვილი გელა	უმრავლესობა	სიდნაღი	14-ზე მეტი	14		არ არის დაკონკრეტებული	არ არის მითითებული	არა	კი
გელაშვილი ვალერი	უმრავლესობა	ხაშური	1203-მდე	203		1000-მდე	65-70	არა	კი
გობალიშვილი გიორგი	უმრავლესობა	ლაგოდეხი	312-ზე მეტი	12		300-ზე მეტი	20	კი	კი
დარცმელიძე დავითი	უმცირესობა	აბაშა							

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვების საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
დოლიძე ვიქტორი	სხვა	ჩუღურეთი						
სანიკიძე გუბაზი	უმრავლესობა	ქუთაისი	840-ზე მეტი	240	600-ზე მეტი	12	არა	კი
დუმბაძე მურმანი	დამოუკიდებელი დეპუტატი	ბათუმი	1183	171	1012	12-ზე მეტი	კი	კი
ებანოიძე ნოდარი	უმრავლესობა	ხარაგაული	700	101	59935	რაოდენობა მითითებული არ არის	კი	კი
ენუქიძე გონა	უმრავლესობა	ამბროლაური						
ვახტანგიშვილი მალხაზი	უმრავლესობა	გორი	522	46	476	34 (ბიუროში შეხვედრა მოსახლეობასთან) 38 (გასვლითი)	მითითებული არ არის	მითითებული არ არის
ვერულაშვილი მარიკა	უმრავლესობა	ყვარელი						

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვის საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვის რაოდენობა		მოქალაქეთა ზეპირი მიმართვის რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
ზვიადური ზურაბი	უმრავლესობა	ახმეტა	200	არ არის დაკონკრეტებული		არ არის დაკონკრეტებული	არ არის მითითებული	კი	კი
კახიანი გიორგი	უმრავლესობა	სამტრედია							
კედელაშვილი ზაზა	უმცირესობა	დედოფლისწყარო	300	არ არის დაკონკრეტებული		არ არის დაკონკრეტებული	შეხვედრების კონკრეტული რაოდენობა მითითებული არ არის	კი	არა (მიუხედავად არაერთი მცდელობისა ადგილობრივი ხელისუფლება არ თანამშრომლობს მაჟორიტარ დეპუტატთან)
კვაჭანტირაძე ზვიად	უმრავლესობა	ოზურგეთი	1364	164		1200	12	არა	კი
კიკნაველიძე პაატა	უმრავლესობა	ბაღდათი	227	77		150	მუნიციპალიტეტში სულ 13 ადმინისტრაციული ერთეულია, რიგ სოფლებში არსებულ პრობლემებთან დაკავშირებით 2-3 ჯერ მოეწყო შეხვედრა.	კი	კი
კობახიძე მანანა	უმრავლესობა	საჩხერე	186	186		არ არის დაკონკრეტებული	8	კი	კი

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართულების საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართულების რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართულების რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
კორძია თამარი	უმრავლესობა	ნაძალადევი	579	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	17-მდე	კი	მითითებული არ არის
ლემონჯავა ვახტანგი	უმცირესობა	ჩხორონწყუ	100	32	68	კონკრეტული რაოდენობა მითითებული არ არის	კი	მიმართავს (რეაგირება არადაამაკმაყოფილებელია)
ლეჟავა პაატა	უმცირესობა	ვანი						
ლიპარტელიანი გოგი	უმრავლესობა	ლენტეხი	110	40	70	3	არა	კი
ლონდარიძე ტარიელი	უმცირესობა	ასპინძა						
მეგრელიძე ომარ	უმცირესობა	შუახევი	129	12	117	92	არა	კი
მისაბიშვილი გურამი	უმრავლესობა	სენაკი	609	317	292	98	კი	კი
მკოიანი ენზელი	უმრავლესობა	ნინოწმინდა						
ნაყოფია კობა	უმცირესობა	ბოლნისი						
ონოფრიშვილი დავითი	თავისუფალი დემოკრატები	კასპი						
ოქრიაშვილი კახაბერი	უმრავლესობა	დმანისი						

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვის საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვის რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართვის რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
პაპუაშვილი ზაზა	უმრავლესობა	მთაწმინდა	70	56	14	რაოდენობა მითითებული არ არის	არა	კი
პეტროსიანი სამველი	უმცირესობა	ახალქალაქი	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	35	კი	არა
სამხარაული გელა	უმრავლესობა	თელავი	562	88	474	22(საჯარო შეხვედრა) 18 (ბიუროში ცალკეულ მოქალაქეებთან)	კი	კი
სულეიმანოვი აზერი	უმცირესობა	მარნეული						
ტრიპოლსკი ერეკლე	უმრავლესობა	დუშეთი	609	109	500	18	კი	კი
უსუფაშვილი დავითი	უმრავლესობა	საბურთალო	293	128	165	9	კი	კი
ფეიქრიშვილი გიორგი	უმრავლესობა	გარდაბანი	47	12	35	15	კი	კი
ფოფხაძე გედევანი	უმრავლესობა	ბორჯომი						
ქავთარაძე გიორგი	უმრავლესობა	ზესტაფონი						
ქანთარია ალექსანდრე	უმრავლესობა	ისანი						

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვის საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვის რაოდენობა		მოქალაქეთა ზეპირი მიმართვის რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
ქარდავა ლევანი	უმცირესობა	ნალენჯისა	85	57		28	რაოდენობა მითითებული არ არის	კი	კი (ადგილობრივი ხელისუფლების მხრიდან გვიანდება პასუხები ბიუროს შუამდგომლობებზე)
ქუცნაშვილი ზაქარია	უმრავლესობა	თიანეთი	189	არ არის დაკონკრეტებული		არ არის დაკონკრეტებული	ზუსტი რაოდენობა მითითებული არ არის (78 სოფლის მოსახლეობას)	კი	კი
ღვინიაშვილი გიორგი	უმცირესობა	გურჯაანი							
შავგულიძე შალვა	სხვა	ვაკე	800	314		486	45-მდე	კი	კი
შავლობაშვილი რევაზი	უმრავლესობა	ნალკა	97-მდე	27		70-მდე	30-მდე	არა	კი
შერვაშიძე იაშა	უმრავლესობა	ქედა	75	27		48	16	არა	კი

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვის საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვის რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართვის რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
ჩაფიძე ელისო	უმრავლესობა	ტყიბული	678	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	40-ზე მეტი	კი	კი
ჩილინგარაშვილი ზურაბი	უმცირესობა	ადიგენი	268	18	250	57	კი	კი
ჩიტაშვილი ვაჟა	უმცირესობა	ახალციხე	164	17	147	16	არა	კი
ჩხაიძე თეიმურაზი	უმრავლესობა	ლანჩხუთი	234-ზე მეტი	84	150-ზე მეტი	20-ზე მეტი	კი	კი
ძიძიგური ზვიადი	უმრავლესობა	რუსთავი						
წერეთელი მალხაზი	უმრავლესობა	ჭიათურა	1162	243	919	46	კი	კი
წიკლაური მირიანი	უმრავლესობა	სტეფანწმინდა	227-ზე მეტი	27	200-ზე მეტი	78	კი (მოსახლეობასთან შეხვედრა)	კი

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვების საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
ჭავჭავანიძე დავითი	უმცირესობა	ხონი						
ჭკუასელი თეიმურაზი	უმრავლესობა	ჩოხატაური	264	8	256	8	კი	კი
ხაბარელი შოთა	უმრავლესობა	კრწანისი	1343	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	47	არა	კი (2014 წლის ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების შემდეგ ურთიერთობა შედარებით გამოსწორდა)
ხაბელოვი ლერი	უმრავლესობა	ქარელი	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	15-მდე	კი	კი
ხაბულიანი სერგო	უმრავლესობა	ცაგერი	115	115	არ არის დაკონკრეტებული	20-ზე მეტი	არა	კი
ხალვაში როსტომი	უმრავლესობა	ხელვაჩაური						
ხალვაში ფატი	უმრავლესობა	ქობულეთი	400-ზე მეტი	400-ზე მეტი	არ არის დაკონკრეტებული	30-მდე	კი; შშ	

პარლამენტის მაჟორიტარი წევრი	სტატუსი	რაიონი	მიმართვების საერთო რაოდენობა	მოქალაქეთა წერილობითი მიმართვების რაოდენობა	მოქალაქეთა ზეპირი მიმართვების რაოდენობა	საჯარო შეხვედრები	კვლევები პრობლემების გამოსავლენად	ადგ. თვითმ. ორგანოებთან თანამშრომლობა
ხიდაშელი თინათინი	უმრავლესობა	საგარეჯო	943-ზე მეტი	143	800-ზე მეტი	16	კი	კი
ხმალაძე ვახტანგი	უმრავლესობა	დიდუბე	300	135	165	რაოდენობა მითითებული არ არის (მოქალაქეების მიღება ტარდება თვეში ერთხელ მაინც)	არა	კი
ხუნდაძე დიმიტრი	უმრავლესობა	მცხეთა	40	40	მითითებული არ არის	15-მდე	კი	კი
ჯანაშია ნაული	უმცირესობა	მარტვილი	218	11	207	6	კი	კი
ჯაფარიძე ვიქტორი	უმრავლესობა	მესტია						
ჯაფარიძე თამაზ	უმრავლესობა	ონი	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	არ არის დაკონკრეტებული	15-მდე	კი	კი
ჯაჭვლიანი იოსებ	უმრავლესობა	გლდანო	5378-ზე მეტი	878	4500-ზე მეტი	35	კი	კი

თავი 13

პარლამენტის წევრების კავშირები ბიზნესთან და არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა

13.1. პარლამენტის წევრთა კავშირები ბიზნესთან

კანონმდებლობის თანახმად, პარლამენტის წევრს უფლება აქვს ფლობდეს კომპანიის წილებს ან აქციებს, თუმცა მას სამეწარმეო საქმიანობა ეკრძალება. პარლამენტის წევრი ვალდებულია, უფლებამოსილების განხორციელების დაწყების მომენტიდან, შეწყვიტოს სტატუსის შეუსაბამო საქმიანობა (მათ შორის, სამეწარმეო) და აღნიშნულის დამადასტურებელი ცნობა 7 დღის ვადაში წარუდგინოს პარლამენტის საპროცედურო საკითხთა და წესების კომიტეტს.

2015 წლის თებერვლის მდგომარეობით, 30 პარლამენტის წევრი ფლობს ბიზნესაქტივებს. ამასთან, რამდენიმე პარლამენტარის ოჯახის წევრი მართავს ან/და ფლობს სხვადასხვა კომპანიებს.

საჯარო რეესტრის მონაცემებით, სამი პარლამენტის წევრი: გოგი ლიპარტელიანი, პაატა ლეჟავა და ზვიად კვაჭანტირაძე კომპანიების დირექტორებად ირიცხებიან. მათგან ორი პარლამენტარი - პაატა ლეჟავა და გოგი ლიპარტელიანი ისეთი კომპანიების დირექტორები არიან, რომელთა შესახებაც მონაცემები წლების მანძილზე არ განახლებულა. ზვიად კვაჭანტირაძე კი სამი კომპანიის: შპს „მაკროს უოროლდ ჯორჯიას“, სს „გოლდენ ფლის გრუპისა“ და შპს „უნიონ კრედიტის“ დირექტორად ირიცხება.

ცხრილი 8. დეპუტატებისა და მათი ოჯახის წევრთა კავშირები ბიზნესთან

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
აკაკი ბობოხიძე	უმცირესობა	შპს „ორიონი“	50%-იანი წილი
გელა სამხარაული	უმრავლესობა	შ.პ.ს. „დია ალავერდი“	100%-იანი წილი
		შ.პ.ს. „დია გრუპი“	33.33%-იანი წილი
		შ.პ.ს. „დუტა & F“	22%-იანი წილი
		შ.პ.ს. „ვერა- 2011“	30%-იანი წილი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
გიგლა აგულაშვილი	უმრავლესობა	შპს პოლიტექნოლოგიების ლაბორატორია	100%-იანი წილი
გიორგი ცაგარეიშვილი	უმრავლესობა	ს/ს „ყაზბეგი“	აქციონერი, მინდობილობით ზურაბ ცაგარეიშვილი
		შპს „ყაზბეგი-ტობაკო“	0.7%-იანი წილი
გიორგი კახიანი	უმრავლესობა	შპს „ბეღელი“	33.34%-იანი წილი, წილის მმართველი იმედა კახიანი
		შპს „გლობალ ბრენდსი“	25%-იანი წილი, წილის მმართველი იმედა კახიანი
გოჩა ენუქიძე	უმრავლესობა	შპს „იბერკომპანი ირაო“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს „იბერკომპანი“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს „იბერკომპანი ოილი“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი (შერწყმა, შპს „ნილო“, 13.12.2013)
		შპს „ბანი“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს „იბერკომპანი პეტროლიუმი“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს „ჯეოტრონიკი 2007“	80%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი
		შპს „სითი სპორტი“	17.5%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
გონა ენუქიძე	უმრავლესობა	შპს "იბერკომპანი- პოლდინგი"	80%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს "სპორტული კლუბი ოლიმპი"	18%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი
		შპს "გლობალ თრეიდიგ კომპანი"	33.4%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს "კრისტალვილი"	50%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
		შპს "იტა სერვისი"	25%-იანი წილი, წილის მმართველი ტარიელ ხეჩიკაშვილი
		შპს "აკადემიკოს ეგნატე ფიფიას სახელობის თბილისის სამედიცინო ინსტიტუტი"	პარტნიორი
		შპს Iberia Food Com- pany	33.34%-იანი წილი, გაასხვისა 2015 წლის 13 იანვარს
		შპს გალაქტიონი 3	50%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა კიკალეიშვილი
გიორგი ჟვანია	უმრავლესობა	შპს ბი-ემ-სი	20%-იანი წილი
		Tibaneli GmbH (გერმანია)	პარტნიორი
		შპს BOSSNER	100%-იანი წილი
		შპს აპოლო	პარტნიორი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
გოდერძი ბუკია	უმრავლესობა	შ.პ.ს. სისტემ ნეტ	3.6%-იანი წილი, წილის მმართველი გურამ ახალაია
გიორგი თოფაძე	უმრავლესობა	შპს "თოფაძე და კომპანია"	34%-იანი წილი
		შპს "ყაზბეგი 1881"	24%-იანი წილი
		შპს "თრუსო"	30%-იანი წილი
		შპს "ყაზბეგი- ფშაველი"	10%-იანი წილი
		შპს "კურორტი ბაკურიანი"	45%-იანი წილი
		შპს "თრიალეთი"	80%-იანი წილი
		შპს "იორის ჭალები"	17%-იანი წილი
		შპს "ყაზბეგი- ბაკურიანი"	99%-იანი წილი
		შპს "CALWE"	20%-იანი წილი
		შპს ქართუ- უნივერსალი	64.5%-იანი წილი
		შპს "თერჯოლა-2007"	34%-იანი წილი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
გიორგი თოფაძე	უმრავლესობა	შპს "ყაზბეგი-ნაყინი"	25%-იანი წილი
		შპს "ფშაველი-ყაზბეგი"	20%-იანი წილი
		შპს "ყაზბეგი ნატალი"	26%-იანი წილი
		სს "ყაზბეგი"	აქციონერი
		შპს "სამთო-სათხილამურო კლუბი ყაზბეგი"	50%-იანი წილი
		შპს "ყაზბეგი-კრწანისი"	22%-იანი წილი, ლიკვიდირებულია
		შპს "ყაზბეგი-99"	მენილე
		შპს "რესტორანი ყაზბეგი-ვერე"	7%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია
		შპს "ბარი ყაზბეგი-ქოლგები"	მენილე
		შპს "წარაფი-98"	13%-იანი წილი
		შპს „სამგორი“	33.4%-იანი წილი
		შპს „ბაკურიანის ბეტონი“	მენილე

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
გიორგი თოფაძე	უმრავლესობა	შპს „ვეტპრეპარატი“	50%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია
		შპს „ცხრაწყარო-2007“	30%-იანი წილი
ეკა ბესელია	უმრავლესობა	სპს „ეკა ბესელიას საადვოკატო კომპანია“	დამფუძნებელი
ვახტანგ ხმალაძე	უმრავლესობა	შპს „თბილისის საარბიტრაჟო პალატა“	35.7%-იანი წილი
დავით ბეჟუაშვილი	უმრავლესობა	CHEMEXIM INTERNATIONAL LTD (მარშალის კუნძულები)	პარტნიორი
		KEMBLE TRADING LTD (კვიპროსი)	პარტნიორი
გურამ მისაბიშვილი	უმრავლესობა	შპს "ხანდა"	100%-იანი წილი, წილის მმართველი გერმანე კუპრეიშვილი
დავით საგანელიძე	უმრავლესობა	შ.პ.ს "ოფის სუიტი"	18%-იანი წილი
		შ.პ.ს "პულსი"	100%-იანი წილი
		შპს ვეტპრეპარატი	25%-იანი წილი, ლიკვიდაცია დაწყებულია
გოგი ლიპარტელიანი	უმცირესობა	შპს „არტ კომპანი“	დირექტორი და მენილე
		შპს „ტირიფონ-ჰესი“	მენილე

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
ზაზა კედელაშვილი	უმცირესობა	შპს zak-ი	33.4%-იანი წილი, წილის მმართველი კახა ქურციკიძე
		შპს zedazeni imereti	5%-იანი წილი, წილის მმართველი გიორგი ბარათაშვილი
		შპს. „იბერია - საქართველო“	15%-იანი წილი, წილის მმართველი მამუკა წინამძღვრიშვილი
		შ.პ.ს „ტრანს ექსპერიმენტი“	5%-იანი წილი, წილის მმართველი გიორგი ბარათაშვილი
		შპს „ჩემპიონი“	25%-იანი წილი
ზაქარია ქუცნაშვილი	უმრავლესობა	შპს „მიგრანტთა საადვოკატო ბიურო“	55%-იანი წილი
		შპს „ადვოკატები რეპრესირებულთათვის“	40%-იანი წილი
		„ქ ენდ ქ კონსალტინგი“	60%-იანი წილი
ზვიად კვაჭანტირაძე	უმრავლესობა	სს „გოლდენ ფლის გრუპ“	დირექტორი
		შპს „იუნიონ კრედიტი“	25%-იანი წილი და დირექტორი
		შპს „მაკროს უორლდ ჯორჯია“	25%-იანი წილი და დირექტორი
		ი/მ „ზვიად კვაჭანტირაძე“	ინდ. მენარმე

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
ზვიად კვაჭანტირაძე	უმრავლესობა	„ტრანს-ლოგისტიკი“	პარტნიორი
ზურაბ ტყემალაძე	უმრავლესობა	შპს „საამო“	11%-იანი წილი
		შპს „აგუნა“	27%-იანი წილი
		სს „თბილხელსანყო“	აქციონერი
თამაზ ყაჭეიშვილი	უმრავლესობა	შპს „სამეგობრო“	5%-იანი წილი
		შპს „ნუგო“	10.88%-იანი წილი
		შპს „ყაზბეგი-ნატალი“	19%-იანი წილი
		შპს „ხარისხი“	25%-იანი წილი
თემურ მაისურაძე	უმრავლესობა	შპს NEWINNOTECH	20%-იანი წილი, წილის მმართველი ნინო მეტრეველი
თამაზ შიოშვილი	სხვა	შპს „მემორექსი“	30%-იანი წილი
		შპს „ლოჯიქსი“	25%-იანი წილი
		შპს „სპენიშქლეი“	35%-იანი წილი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
იაშა შერვაშიძე	ფრაქციის გარეშე	შპს „გუმბაპა“	51%-იანი წილი
		ინდ.მენარმე	
		შ.პ.ს. „გუმბაპა“	15%-იანი წილი
		შპს „სტარ არ ჯი“	5%-იანი წილი
კახაბერ ოქრიაშვილი	უმრავლესობა	შპს პსპ „ფარმა“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		შპს „ალფა“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		სს „ელექტრონიკა 94“	აქციონერი
		შპს „მანდარინი“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		შპს „პსპ დაზღვევა“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		შპს „ჯისითი ინჟინირინგი“	37.5%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		შპს „პატრია მედიკა“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		შპს „აქსა მედიკალ“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
კახაბერ ოქრიაშვილი	უმრავლესობა	GMP Production Ltd	95%-იანი წილი, წილის მმართველი
		შპს „სანიმედი“	100%-იანი წილი, წილის მმართველი ბაჟა ოქრიაშვილი
		შპს პსპ	59%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
		შპს „ჯეომედი“	25%-იანი წილი, წილის მმართველი ვაჟა ოქრიაშვილი
ლევან ქარდავა	უმცირესობა	„MD ჯგუფი“	100%-იანი წილი
		„იტალიან მოტორ გრუპი“	95%-იანი წილი
		„საქართველოს ინოვაციური ნანო ტექნოლოგიები“	20%-იანი წილი
		„გლობალ იმპექსი“	80%-იანი წილი
		„გრუპო ვია“	100%-იანი წილი, წილის მმართველი მაკა მანია
		„მაგანა-2004“	100%-იანი წილი
ნოდარ ებანოძე	უმრავლესობა	შპს „კომპაუდი“	14%-იანი წილი
პაატა ლეჟავა	უმცირესობა	შპს „ფუნთუშა“	მენილე და დირექტორი

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	კომპანიის დასახელება	კომპანიასთან კავშირი
პაატა ლეჟავა	უმცირესობა	შპს „ლგ და კომპანია“ “ფიროსმანი” LG&GO PIROSMANI	20%-იანი წილი
		შ.პ.ს Delato Fitnes	33.3%-იანი წილი
ომარ ნიშნიანიძე	უმრავლესობა	ი/მ „ომარ ნიშნიანიძე“	
პაატა კიკნაველიძე	უმრავლესობა	შპს „აგრარული ბაზარი“	19%-იანი წილი, გაასხვისა 2014 წლის 3 ივნისს
სერგო ხაბულიანი	უმრავლესობა	შპს „ცეკური“	62.5%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა ხაბულიანი
		შპს „მშენებელი 2004“	62.5%-იანი წილი, წილის მმართველი ბექა ხაბულიანი

13.2. პარლამენტის წევრების არადეკლარირებული სამეწარმეო საქმიანობა

ხელისუფლების წარმომადგენლების მიერ ქონებრივი მდგომარეობის დეკლარირების ვალდებულება ეფუძნება საშუალებას კორუფციისა და შესაძლო ინტერესთა კონფლიქტის გამოსავლენად. მიღებული ინფორმაციიდან განსაკუთრებით მნიშვნელოვანია მონაცემები ხელისუფლებაში მყოფი პირების სხვადასხვა ბიზნესში წილობრივი მონაწილეობის შესახებ. იმის გარკვევა, თუ რომელი თანამდებობის პირები ფლობენ წილებს/აქციებს კომპანიებში, შესაძლოა ინტერესთა კონფლიქტის აღმოჩენასა და კორუფციის თავიდან აცილებაში დაგვეხმაროს.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ერთმანეთს შეადარა პარლამენტის წევრთა მიერ შევსებული ქონებრივი დეკლარაციები და საჯარო რეესტრის ვებგვერდზე განთავსებული მონაცემები მათი სხვადასხვა კომპანიებში მონაწილეობის შესახებ. კვლევის შედეგად აღმოჩნდა, რომ პარლამენტის რამდენიმე წევრს კომერციული იურიდიული სუბიექტის მფლობელობა (კუთვნილი წილი) და მართვაში მონაწილეობა არა აქვს დეკლარირებული.

გიორგი ჟვანია („ქართული ოცნება“)

2014 წელს შევსებული ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით, გიორგი ჟვანია სამი კომპანიის თანამფლობელია: შპს BOSSNER, შპს „ბი-ემ-სი“ და Tibaneli GmbH, რომლებიც გერმანიაშია რეგისტრირებული. აქედან, შემოსავალი მან მხოლოდ შპს „ბი-ემ-სი“-გან მიიღო (103690 ლარი წლის მანძილზე.)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის მიხედვით, გიორგი ჟვანია კიდევ ერთი კომპანიის, შპს „აპოლოს“ მფლობელია, თუმცა ამ კომპანიის მონაცემები რეესტრის ვებგვერდზე 1998 წლის შემდეგ არ განახლებულა, რაც შესაძლოა ნიშნავდეს, რომ კომპანია არ ფუნქციონირებს.

თამაზ შიოშვილი (თავისუფალი დემოკრატები)

თამაზ შიოშვილი შპს „სფენიშელისა“ (35%) და შპს „მემორექსის“ (30%) მფლობელია. ეს ფაქტი 2012 წლიდან, არც ერთ ქონებრივ დეკლარაციაში არ არის მითითებული. მასვე ეკუთვნის შპს „ლოჯისტიკა“, თუმცა ამ კომპანიის მონაცემები რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიანიშნებდეს, რომ კომპანია არ ფუნქციონირებს.

იაშა შერვაშიძე (დამოუკიდებელი დეპუტატი)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის თანახმად, იაშა შერვაშიძე სამი კომპანიის მფლობელია: შპს „გუმ-ბაპა“ (51%), შპს „სტარ არ ჯი“ (5%) და შპს „გუმბაპა“ (2007 წლის შემდეგ მონაცემები არ განახლებულა). ხოლო პარლამენტის წევრის 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არც ერთი ეს კომპანია მითითებული არ არის.

გოგი ლიპარტელიანი (ლენტეხის მაჟორიტარი, „ქართული ოცნება - დამოუკიდებელი მაჟორიტარები - ძლიერი რეგიონებისთვის“)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის მიხედვით გოგი ლიპარტელიანი ორი კომპანიის - შპს „არტ კომპანისა“ და შპს „ტირფონ-პესის“ მფლობელია ფიქსირდება. ამასთან, იგი შპს „არტ კომპანის“ დირექტორიცაა. ამის შესახებ პარლამენტის წევრს 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არ აქვს მითითებული, თუმცა რეესტრის მონაცემები ამ ორი კომპანიის შესახებ რამდენიმე წელია არ განახლებულა. გოგი ლიპარტელიანს ასევე არა აქვს დეკლარირებული თავისი მეუღლის, ნაზი ლიპარტელიანის მონაწილეობა 10-მდე სხვადასხვა კომპანიაში.

ზაზა კედელაშვილი (დედოფლისწყაროს მაჟორიტარი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა)

საჯარო რეესტრის ვებგვერდის მიხედვით ზაზა კედელაშვილი შპს „ჩემპიონის“ 25%-ის მფლობელია, რის შესახებაც 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არა არის მითითებული.

პაატა ლეჟავა (ვანის მაჟორიტარი, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა)

პაატა ლეჟავა ორი კომპანიის - შპს „ფუნთუშას“ და შპს „ლგ და კომპანია ფიროსმანის“ მფლობელია ფიქსირდება, თუმცა არც ერთი ამ კომპანიის შესახებ 90-იანი წლების შემდეგ მონაცემები განახლებული არ არის. ამავდროულად, ის შპს „ფუნთუშას“ დირექტორიცაა. პაატა ლეჟავას მეუღლე ნინო ლასხიშვილი შპს „ფეშენ სტაილის“ 80%-ს ფლობს, რაც 2014 წლის დეკლარაციაში აღნიშნული არ არის. ამ კომპანიის შესახებ მონაცემები. ასევე, რამდენიმე წელია არ განახლებულა.

გია ჟორჯოლიანი (ქართული ოცნება)

გია ჟორჯოლიანის მეუღლე თინათინ ბაღდასტანიშვილი შპს „LT GLOBAL SERVICES LLC საქართველოს ფილიალის“ დირექტორია, რაც პარლამენტის წევრს 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციაში მითითებულია არა აქვს, თუმცა სხვა კომპანიებთან კავშირები დეკლარაციაში ასახულია.

ვიქტორ ჯაფარიძე (მესტიის მაჟორიტარი, „ქართული ოცნება“)

2014 წლის ქონებრივი დეკლარაციის მიხედვით ვიქტორ ჯაფარიძის მეუღლე ნათია ხვისტანი ერთი კომპანიის, შპს „ქცია 94-ის“ მენილერა, თუმცა საჯარო რეესტრის ვებგვერდის თანახმად, ნათია ხვისტანი წილებს ორ სხვა კომპანიაში ფლობს, ესენია: შპს „სეტი“ (50%) და შპს „ტირ პარკ მარნეული“ (17%).

ზაქარია ქუცნაშვილი (თიანეთის მაჟორიტარი, „ქართული ოცნება“)

ზაქარია ქუცნაშვილის მამა ომარ ქუცნაშვილი რამდენიმე კომპანიის მენილერა, რაც პარლამენტის წევრის 2014 წლის დეკლარაციაშია მითითებული. თუმცა დეკლარაციაში არ არის მითითებული ომარ ქუცნაშვილის კავშირი შპს „სუპერ ტორფთან.“ საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, იგი კომპანიის 10%-ს ფლობს.

კობა ნაყოფია („ერთიანი ნაციონალური მოძრაობა“)

პარლამენტის წევრ კობა ნაყოფიას 2014 წლის ქონებრივ დეკლარაციაში არა აქვს მითითებული, რომ მისი შვილი ნიკოლოზ ნაყოფია შპს „ინოვეიშენ გრუპ ჯორჯიას“ მენილერა. ამასთან, დეკლარაციაში აღნიშნულია, რომ ნიკოლოზ ნაყოფია შპს „გოლდინვესტის“ მენილერა, საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით კი ამ კომპანიის მენილერა თავად კობა ნაყოფიაა.

კახაბერ ოქრიაშვილი (დმანისის მაჟორიტარი, „ქართული ოცნება - დამოუკიდებელი მაჟორიტარები - ძლიერი რეგიონებისთვის“)

კახაბერ ოქრიაშვილს 2014 წელს შეესაბამებოდა ქონებრივ დეკლარაციაში არა აქვს სრულად მითითებული თავისი მეუღლის, ლინა თოფურიას ბიზნეს ინტერესები. საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით, ლინა თოფურია შპს ჯი-ემ-პის მენილერა (100%) და შპს ლინატის დირექტორი და მფლობელია (100%). ამასთან, ლინა თოფურია ინდ. მენარმედაა რეგისტრირებული.

პაატა კიკნაველიძე („ქართული ოცნება - მრეწველები“)

საჯარო რეესტრის მონაცემების მიხედვით პაატა კიკნაველიძის ძმა, ანდრო კიკნაველიძე შპს „იბერია 47“-ის მენილერა, რაც პარლამენტის წევრის 2014 წლის დეკლარაციაში აღნიშნული არ არის.

არადეკლარირებული კომპანიებს შორის გვხვდება ისეთებიც, რომელთა შესახებაც მონაცემები საჯარო რეესტრის ვებგვერდზე რამდენიმე წლის მანძილზე არ განახლებულა, რაც შესაძლოა მიუთითებდეს, რომ კომპანიები აღარ ფუნქციონირებენ, თუმცა ისინი ოფიციალურად მაინც არსებობენ და ეს არ ათავისუფლებს დეპუტატებს ვალდებულებისაგან, შეიტანოს დეკლარაციაში აღნიშნულ კომპანიებში წილების ფლობა ან/და გავიდეს კომპანიების მმართველობიდან.

თავი 14

საზოგადოებრივი აზრი პარლამენტისა და პარლამენტის ცალკეული წევრების შესახებ

საქართველოს კონსტიტუციის თანახმად, ხელისუფლების წყარო ხალხია. პარლამენტი ქვეყნის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოა. ამდენად განსაკუთრებით საინტერესოა რას ფიქრობს ხალხი მათ წარმომადგენლებსა და იმ ინსტიტუტის ფუნქციონირებაზე, რომელიც ქვეყნის საშინაო და საგარეო პოლიტიკის ძირითად მიმართულებებს განსაზღვრავს. მართალია ხალხის განწყობას საუკეთესოდ არჩევნები გამოხატავს, თუმცა არჩევნებიდან არჩევნებამდე იცვლება მოქალაქეების დამოკიდებულება როგორც ინსტიტუციების, ასევე პოლიტიკოსების მიმართ. შესაბამისად, ვფიქრობთ საზოგადოებრივი აზრის ცოდნა საკანონმდებლო ორგანოსა და მისი ცალკეული წევრების საქმიანობის შესახებ სარგებლის მომტანი იქნება თავად პარლამენტის წევრებისთვის, რაც საბოლოოდ დადებითად აისახება მათ საქმიანობაზე.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით „კავკასიის კვლევითი რესურსების ცენტრ-მა“ (CRRC) ჩაატარა საზოგადოებრივი აზრის კვლევა. კვლევა განხორციელდა ქვეყნის მასშტაბით, გარდა ეთნიკური უმცირესობებით მჭიდროდ დასახლებული რეგიონებისა და ოკუპირებული ტერიტორიებისა. შემთხვევითი შერჩევით გამოიკითხა 1867 სრულწლოვანი საქართველოს მოქალაქე. კვლევა ჩატარდა 2015 წლის აპრილის თვეში და მოიცავდა საქართველოს პარლამენტის და პარლამენტის წევრთა საქმიანობის შეფასებას 2012 წლიდან კვლევის ჩატარების ეტაპამდე - ანუ მერვე მოწვევის პარლამენტის დღემდე განხორციელებულ საქმიანობას. კვლევა რეპრეზენტატიულია ქვეყნის მასშტაბით, ხოლო მისი ცდომილების ზღვარი 3.7%-ს შეადგენს.

პარლამენტის წევრთა რაოდენობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა იციან თუ არა საქართველოს მოქალაქეებმა პარლამენტის წევრთა ზუსტი რაოდენობა და რას ფიქრობენ - არის თუ არა აღნიშნული რაოდენობა ზედმეტი, ნაკლები ან საკმარისი საკანონმდებლო ორგანოს ეფექტური ფუნქციონირებისათვის.

ჩვენს მიერ განხორციელებული კვლევის თანახმად, საქართველოს მოქალაქეების დაახლოებით 60%-მა არ იცის რამდენი წევრი ჰყავს საკანონმდებლო ორგანოს. სწორი პასუხის გაცემა მხოლოდ 13%-მა შეძლო.

შეგახსენებთ, რომ 2003 წელს საქართველოში ჩატარდა რეფერენდუმი და მოსახლეობის 85.5 %-ის გადაწყვეტილებით საკანონმდებლო ორგანოს წევრთა რაოდენობა 235-დან 150-მდე შემცირდა. ცვლილებების განხორციელებიდან 12 წლის შემდეგ ჩვენს მიერ გამოკითხული საქართველოს მოქალაქეების იმ 13 %-დან, რომელმაც იცის პარლამენტის წევრთა რაოდენობა 46 % ფიქრობს, რომ 150 წევრი საკმარისი რაოდენობაა საკანონმდებლო ორგანოსათვის, ხოლო 49% მიიჩნევს, რომ ზედმეტია. გამოკითხულთა მხოლოდ 2% ფიქრობს, რომ საკანონმდებლო ორგანოს მეტი წევრი ესაჭიროება.

დიაგრამა 8


კონსტიტუციის მიხედვით, რამდენი წევრისგან შედგება საქართველოს პარლამენტი? (%)



დიაგრამა 9

პარლამენტარების ეს რაოდენობა საქართველოსთვის არის...? (%)


(მათგან, 38%, ვინც პარლამენტის წევრთა გარკვეული რაოდენობა დაასახელა)



დიაგრამა 10

პარლამენტარების ეს რაოდენობა საქართველოსთვის არის...? (%)

(მათგან, 28%, ვინც პარლამენტის წევრთა სწორი რაოდენობა დაასახელა)




პარლამენტის საქმიანობის შესახებ ინფორმირებულობა და პარლამენტართა ცნობადობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ დაკვეთით განხორციელებული კვლევის შესაბამისად, საქართველოს მოქალაქეების უმეტესობა დაინტერესებულია პარლამენტის საქმიანობით და გამოკითხულთა 50%-ზე მეტი თვალს ადევნებს პარლამენტის მუშაობას. 98%-მა იცის ვინ არის პარლამენტის თავმჯდომარე.

დიაგრამა 11


რამდენად ადევნებთ თვალს ინფორმაციას პარლამენტის მუშაობის შესახებ? (%)



დიაგრამა 12

ვინ არის ამჟამად საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე? (%)

(მათგან, 38%, ვინც პარლამენტის წევრთა გარკვეული რაოდენობა დაასახელა)




პარლამენტის მაჟორიტარი წევრების საქმიანობა

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ დაინტერესდა, რამდენად იციან საქართველოს მოქალაქეებმა ვინ არის მათი მაჟორიტარი პარლამენტის წევრი მათი ოლქიდან და როგორ აფასებენ მის საქმიანობას. გამოკითხულთა მხოლოდ 30%-მა იცის ვინ არის მისი ოლქიდან პარლამენტის მაჟორიტარი წევრი.

ხალხის რჩეულთა შეფასების ნაწილში აღსანიშნავია რომ ამომრჩეველთა თითქმის ნახევარი 48% არ ან ვერ აფასებს საკუთარ მაჟორიტარს საქმიანობას. დანარჩენთა აბრეშვილი თითქმის ტოლად იყოფა - 23% მათ საქმიანობას დადებითად აფასებს, ხოლო 28% უარყოფითად.

დიაგრამა 13


ვინ არის ამჟამად პარლამენტის მაჟორიტარი დეპუტატი თქვენი ოლქიდან? დასახლების ტიპის მიხედვით (%)



დიაგრამა 14

როგორ აფასებთ თქვენი მაჟორიტარი დეპუტატის საქმიანობას? დასახლების ტიპის მიხედვით (%)

- ცალსახად დადებითად
- მეტ-ნაკლებად დადებითად
- მეტ-ნაკლებად უარყოფითად
- ცალსახად უარყოფითად
- არ ვიცი/უარი



პარლამენტის ცალკეული წევრების საქმიანობის შეფასება


„საერთაშორისო გამჭვირვალობა-საქართველო“ დაინტერესდა როგორ აფასებენ საქართველოს მოქალაქეები პარლამენტის წევრთა საქმიანობას. კვლევის ფარგლებში გამოკითხულმა მოქალაქეებმა დაასახელეს ყველაზე აქტიური პარლამენტის წევრები და ასევე პარლამენტის წევრები, რომელთა მუშაობაც ყველაზე დადებითად და უარყოფითად შეფასდა.

საკანონმდებლო ორგანოს ყველაზე აქტიურ წევრებად დასახელდნენ ევა ბესელია, თინათინ ხიდაშელი, მანანა კობახიძე, გია ვოლსკი და დავით ბაქრაძე.

პარლამენტის წევრი, რომლის საქმიანობაც ყველაზე დადებითად შეფასდა პარლამენტის თავმჯდომარე დავით უსუფაშვილი დასახელდა.

დიაგრამა 15

პარლამენტარები, რომელთა მუშაობაც ყველაზე დადებითად შეფასდა (%)




პარლამენტის საქმიანობის ზოგადი შეფასება

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ შეეცადა გაერკვია რას ფიქრობს საქართველოს მოსახლეობა პარლამენტის მუშაობის ეფექტურობაზე და სად ხედავს მთავარ პრობლემებს. გამოკითხულთა 50 %-ზე მეტს მიაჩნია რომ პარლამენტში არსებული პოლიტიკური დაპირისპირება უარყოფითად აისახება მის მუშაობაზე. მხოლოდ 23 % მიიჩნევს, რომ პარლამენტში დებატები მოსახლეობისთვის საჭირობო საკითხებზე იმართება. გამოკითხულთა მხოლოდ 19 % ეთანხმება მოსაზრებას, რომ პარლამენტი ამტკიცებს ქვეყნისათვის სასიკეთო კანონებს, ხოლო 46 % მიიჩნევს, რომ პარლამენტის წევრები ეთიკურად არ იქცევიან.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ ასევე დაინტერესდა თუ რას ფიქრობენ საქართველოს მოქალაქეები ისეთ აქტუალურ თემებზე, როგორცაა პარლამენტში გენდერული კვოტირება და საკანონმდებლო ორგანოს ადგილმდებარეობა. გამოიკვთა, რომ ორ მესამედზე მეტს -69%-ს მიაჩნია რომ პარლამენტი თბილისს უნდა დაუბრუნდეს, და მხოლოდ 18% ფიქრობს რომ საკანონმდებლო ორგანოს ადგილი ქუთაისშია. არის ასევე მოქალაქეთა მცირე რაოდენობა - 3% რომელიც ფიქრობს რომ პარლამენტი ორივე ქალაქში უნდა საქმიანობდეს. აღსანიშნავია რომ რეგიონულ ჭრილში ეს მონაცემები განსხვავებულად გამოიყურება.


დიაგრამა 16

სად უნდა მუშაობდეს საქართველოს პარლამენტი? დასახლების ტიპის მიხედვით (%)



დიაგრამა 17

რამდენად ეთანხმებით ან არ ეთანხმებით შემდეგ მოსაზრებებს? (%)




საინტერესო შედეგები დაფიქსირდა პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით გენდერული კვოტირების შემოღებასთან დაკავშირებით - მოსახლეობის 60% სრულად ან ნაწილობრივ ემხრობა პარლამენტში გენდერული კვოტის შემოღების საკითხს, 23%-ს უარყოფითი დამოკიდებულება აქვს. აღსანიშნავია, რომ ამ კითხვის დასმისას არ ყოფილა საუბარი კვოტირების ზუსტ მაჩვენებელზე, თუმცა იკვეთება, რომ მოსახლეობის აბსოლუტურ უმრავლესობას მეტი ქალის ხილვა სურს პარლამენტში.

ამ საკითხთან დაკავშირებით საქართველოს მამაკაც მოსახლეობისა და ქალი მოსახლეობის შეხედულება შემდეგნაირად გამოიყურება.

დიაგრამა 18

ემხრობით თუ არა სავალდებულო კვოტირების შემოღებას პარლამენტში ქალთა რაოდენობის გაზრდის მიზნით? სქესის მიხედვით (%)




საზოგადოებრივი აზრის კვლევის შედეგები ე.წ. „მოსმენების“ პრობლემასთან დაკავშირებით

2014 წელს პარლამენტის ცხოვრებაში ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი მოვლენა. ე.წ. „მოსმენების შესახებ“ კანონის მიღება. სწორედ ამ კანონთან დაკავშირებით პრეზიდენტმა ორჯერ გამოიყენა ვეტოს უფლება. კანონი, რომელიც საბოლოოდ საქართველოს პარლამენტმა მიიღო ამჟამად საკონსტიტუციო სასამართლოში არის გასაჩივრებული.


დიაგრამა 19

გაუზიარებდით თუ არა პირად საიდუმლოს თქვენს ახლო მეგობარს მობილური ტელეფონით საუბრის დროს? (%)




დიაგრამა 20

გაუზიარებდით თუ არა კრიტიკულ მოსაზრებას საქართველოში მიმდინარე პოლიტიკური მოვლენების შესახებ თქვენს ახლო მეგობარს მობილური ტელეფონით საუბრის დროს? (%)




დიაგრამა 21

თქვენი ინფორმაციით, ტექნიკური თვალსაზრისით, აქვთ თუ არა ამჟამად სამართალდამცავ ორგანოებს საშუალება, კონტროლის გარეშე მოუსმინონ შემდეგი პირების სატელეფონო საუბრებს? (%)




დიაგრამა 22

თქვენი აზრით, უსმენენ თუ არა ამჟამად სამართალდამცავი ორგანოები შემდეგ პირებს? (%)



დიაგრამა 23

თქვენი ინფორმაციით, სამართალდამცავ ორგანოებს ამჟამად აქვთ თუ არა ტექნიკური საშუალება, მოუსმინონ/უსმენენ თუ არა შემდეგი პირების სატელეფონო საუბრებს? (%)



თავი 15

2012-2014 წლების საკანონმდებლო საქმიანობის სტატისტიკა

წარმოგიდგინთ სტატისტიკურ ინფორმაციას საქართველოს მე-8 მოწვევის პარლამენტის საქმიანობის შესახებ 2012 წლის 21 ოქტომბრიდან (პირველი შეკრების დღიდან) 2014 წლის 31 დეკემბრამდე.

ცხრილი 9.
2012-2014 წლებში პარლამენტის მიერ მიღებული ნორმატიული აქტები

	მიღებული კანონები	მიღებული დადგენილებები	რეატიფიცირებული ხელშეკრულებები, შეთანხმებები, კონვენციები, მემორანდუმები
2012 წ. საშემოდგომო სესია	33	146	11
2013 წ.	447	1553	41
2014 წ.	327	1004	50
	მთავრობის მიერ ინიცირებული და პარლამენტის მიერ მიღებული კანონები	კომიტეტების მიერ ინიცირებული კანონები და პარლამენტის მიერ მიღებული კანონები	პარლამენტის წევრთა მიერ ინიცირებული და პარლამენტის მიერ მიღებული კანონები
2012 წ. საშემოდგომო სესია	14	3	15
2013 წ.	193	25	246
2014 წ.	219	20	80

თავი 16

პრობლემები პარლამენტის საქმიანობაში და „საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციები

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ აქტიურად მონაწილეობს საპარლამენტო საქმიანობაში. პარლამენტის მუშაობაში თავს იჩენს მთელი რიგი ისეთი საკითხები, რომელთა დასარეგულირებლად, პარლამენტის წევრებისა და პარლამენტის აპარატის მიერ სასურველია სათანადო ზომების მიღება.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველო“ გამოთქვამს მზადყოფნას მჭიდროდ ითანამშრომლოს საქართველოს პარლამენტთან მეტი გამჭვირვალობისა და სამოქალაქო საზოგადოების კიდევ უფრო აქტიურად ჩართვის მიზნით.

აღსანიშნავია, რომ 2014 წელს საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობა გამჭვირვალობის თვალსაზრისით საგრძნობლად გაუმჯობესდა და წინა ანგარიშში გამოთქმული რეკომენდაციების ნაწილი გაზიარებულ იქნა. მაგ.: პარლამენტის ვებ გვერდზე ოპერატიულად თავსდება კომიტეტებისა და პლენარული სხდომების მოკლე აღწერილობა და პრესრელიზები; პარლამენტის ვებ გვერდზე შესაძლებელი გახდა 2014 წლის ანონსების არქივის ნახვა, აგრეთვე საკომიტეტო მოსმენებისა და პლენარული სხდომების თვალყურის დევნება; ვებ გვერდს დაემატა გადახვევის ფუნქცია.

პროგრესის მიუხედავად, კვლავ შეინიშნება პრობლემები საკანონმდებლო პროცესში საზოგადოების მეტი ჩართულობის, ინფორმირებისა და პარლამენტის წევრთა მიერ თავიანთი მოვალეობისადმი პირადი პასუხისმგებლობის გაზრდის თვალსაზრისით. საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობის გაუმჯობესებისა და მაკონტროლებელი ფუნქციის განსახორციელებლად მნიშვნელოვანია პარლამენტის თითოეულმა წევრმა თავისი საქმიანობით შეიტანოს წვლილი პარლამენტის ეფექტურ ფუნქციონირებაში.

„საერთაშორისო გამჭვირვალობა – საქართველოს“ რეკომენდაციები:

1. საკანონმდებლო პროცესის დახვეწა

- მიზანშეწონილია, სისტემატურად არ ხდებოდეს პარლამენტში კანონის ამოქმედების გადავადება, ხოლო თითოეული კანონპროექტი, რომელიც კანონის ამოქმედების გადავადებას ეხება იყოს დასაბუთებული;
- უნდა ხდებოდეს კანონის დაჩქარებული წესით განხილვის სათანადო დასაბუთება და მხოლოდ რეალური საჭიროების შემთხვევაში უნდა მიმართოს მას პარლამენტმა, ვინაიდან კანონპროექტის ერთ კვირაში განხილვა ზღუდავს საზოგადოების შესაძლებლობას, რაც შეიძლება სრულფასოვნად ჩაერთოს განხილვის პროცესში;
- კანონპროექტის განმარტებითი ბარათი უნდა იყოს არგუმენტირებული, ინფორმაციული და დასაბუთებული. განმარტებითი ბარათი უნდა იცვლებოდეს იმ შემთხვევაში, თუკი კანონპროექტი შეიცვალა მეორე ან მესამე მოსმენის დროს და ცვლილების დასაბუთება განმატებით ბარათში აისახებოდეს;
- მიზანშეწონილია, კანონპროექტზე მსჯელობა არ ხდებოდეს მხოლოდ საკომიტეტო მოსმენებზე და განსაკუთრებით მნიშვნელოვანი კანონპროექტის განხილვის პროცესში (მიუხედავად იმისა თუ ვინ არის კანონპროექტის ინიციატორი) კომიტეტებმა შექმნან სამუშაო ჯგუფები ექსპერტთა და სამოქალაქო საზოგადოების წარმომადგენელთა მონაწილეობით.

2. პარლამენტის მაკონტროლებელი ფუნქციის გაძლიერება და თანამდებობის პირთა არჩევის ფუნქციის ეფექტურად განხორციელება

- პარლამენტის მიერ მთავრობის კონტროლის განხორციელება უნდა ხდებოდეს, რაც შეიძლება ეფექტიანად. მთავრობის წევრები უნდა ესწრებოდნენ პარლამენტის სხდომებს, მიუხედავად იმისა, რომელი მხარის, უმცირესობის თუ უმრავლესობის ინციატივით მოხდა მათი მოწვევა. **პარლამენტის წევრები უნდა ესწრებოდნენ რიგგარეშე სხდომებს, რომლებიც მთავრობის საქმიანობაზე კონტროლის მიზნით არის დანიშნული, მიუხედავად იმისა, ვინ იყოს სხდომის ინიციატორი.**
- **პარლამენტმა კანონით დადგენილ ვადაში უნდა უზრუნველყოს თანამდებობის პირთა არჩევა და სახელმწიფო ორგანოების დაკომპლექტება,** რათა ხელი არ შეეშალოს სახელმწიფო ინსტიტუტების ეფექტიან ფუნქციონირებას.

3. პარლამენტის წევრთა ანგარიშვალდებულება და პასუხისმგებლობის გაზრდა

- 2014 წელს საქართველოს პარლამენტში დეპუტატების მიერ 1927 გაცდენა დაფიქსირდა, მათ შორის 1377 ოჯახური მდგომარეობის გამო. საპარლამენტო საქმიანობაში მონაწილეობა პარლამენტის წევრების უპირველესი ფუნქციაა. სასურველია, საკანონმდებლო ორგანოს წევრები მეტი პასუხისმგებლობით მოეკიდონ საპარლამენტო ცხოვრებაში მონაწილეობას და ბოროტად არ ისარგებლონ კანონმდებლობით მათთვის მინიჭებული პრივილეგიით, რომლის თანახმადაც, ოჯახური მდგომარეობის გამო გაცდენა საპატიოდ ითვლება.
- სასურველია, პარლამენტის წევრის არყოფნისას მის სამუშაო ოთახში იმყოფებოდეს თანაშემწე.
- მიზანშეწონილია, პარლამენტის წევრები უფრო აქტიურად იყენებდნენ პარლამენტის ვებ გვერდზე მითითებულ ელექტრონულ ფოსტას, რათა როგორც სამოქალაქო საზოგადოების წევრებს, ასევე მოქალაქეებს შეეძლოთ მათთან დაკავშირება;
- პარლამენტის წევრებმა სწორად უნდა შეავსონ ქონებრივი დეკლარაციები, ასახონ მათი და ოჯახის წევრთა კუთვნილი წილები და, კანონით დადგენილი წესით, დატოვონ კომპანიების მმართველი პოზიციები. საპროცედურო საკითხთა კომიტეტმა უნდა განახორციელოს ეფექტური კონტროლი.

4. პარლამენტის საქმიანობის გამჭვირვალობა და საზოგადოების მეტი ინფორმირება:

- მიზანშეწონილია, პარლამენტის კომიტეტების მუშაობის შესახებ საზოგადოების უკეთ ინფორმირების მიზნით, **პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსდეს კომიტეტის მიერ განული საქმიანობის ყოველწლიური ანგარიში და მომავალი წლის სამოქმედო გეგმა** (აღნიშნული ინფორმაცია მხოლოდ სამმა კომიტეტმა გამოაქვეყნა);
- სასურველია, პარლამენტის ვებ გვერდზე მოწოდებული საკომიტეტო მოსმენების შესახებ არსებულ ინფორმაციაში აისახოს **საზოგადოების წევრთა მიერ გამოთქმული ის შენიშვნებიც, რომლებიც არ იქნა გაზიარებული კანონის ინიციატორის ან კომიტეტის მიერ;**
- სასურველია, განხილვის სხვადასხვა ეტაპზე მიღებული კანონპროექტები ოპერატიულად განთავსდეს პარლამენტის ვებ გვერდზე და რაც შეიძლება სწრაფად დაინეროს საკომიტეტო მოსმენის ოქმები;
- მიზანშეწონილია, პარლამენტის ვებ გვერდზე განთავსდეს წამყვანი და სავალდებულო კომიტეტების ყველა დასკვნა;
- მიუხედავად იმისა, რომ პარლამენტის ვებ გვერდზე შესაძლებელია კომიტეტების და პლენარული სხდომის ონლაინ ყურება გადახვევის ფუნქციით, განმეორებით ყურების სურვილის შემთხვევაში, ჩანაწერის მოძიება რთული და ზოგჯერ შეუძლებელია, ვინაიდან არ არსებობს არქივი. **სასურველია, არსებობდეს თემატურად დაყოფილი არქივი.**

5. საზოგადოების ჩართულობის უზრუნველყოფა:

- **პარლამენტის კომიტეტები სხდომაზე მხოლოდ დღის წესრიგით გათვალისწინებულ საკითხებს უნდა იხილავდნენ** და არ ხდებოდეს განსახილველი საკითხების დამატება სხდომის მიმდინარეობის პროცესში, რაც ართმევს დაინტერესებულ პირებს შესაძლებლობას, დაესწრონ მათთვის სასურველი საკითხის განხილვას;
- **პარლამენტის ვებ გვერდზე უნდა იყოს განთავსებული არა მხოლოდ საკანონმდებლო ინიციატივები, არამედ საკანონმდებლო წინადადებებიც,** რათა საზოგადოებრიობის წარმომადგენლები წინასწარ იყვნენ ინფორმირებული ფიზიკურ და იურიდიულ პირთა საკანონმდებლო წინადადებების შესახებ და, სურვილის შემთხვევაში, ჩაერთონ განხილვაში;
- **საკანონმდებლო წინადადებების განხილვა რეგლამენტით გათვალისწინებულ ვადაში უნდა ხდებოდეს.** სასურველია, კომიტეტებმა ყოველი სესიის ბოლოს გამოაქვეყნონ ინფორმაცია თუ რამდენი საკანონმდებლო წინადადება მოიწონეს და, მოწონების შემთხვევაში, აქცია თუ არა ის საკანონმდებლო ინიციატივად;
- **მოქალაქეებისათვის უნდა გამარტივდეს პარლამენტის შენობაში შესვლის სისტემა.** ამჟამად პარლამენტის შენობაში შესასვლელად საჭიროა საშვი, რომლის დაშვების უფლებაც პარლამენტის წევრებთან ერთად, პარლამენტის აპარატის თანამშრომლების მხოლოდ მცირე ნაწილს აქვთ. ჩვენი აზრით, საკითხის ამგვარი მოწესრიგება ეწინააღმდეგება საპარლამენტო ღიაობის პრინციპს, ისევე როგორც დემოკრატიისა და ღია საზოგადოების საუკეთესო საერთაშორისო პრაქტიკას. აღსანიშნავია, რომ მრავალ ქვეყანაში პარლამენტის შენობაში მოსახვედრად მხოლოდ ფიზიკური უსაფრთხოების შემოწმების გავლაა საჭირო.
- **სასურველია, პლენარული სხდომებისა და საკომიტეტო მოსმენების დღის წესრიგები რამდენიმე დღით ადრე განთავსდეს პარლამენტის ვებ გვერდზე.** პლენარული ან კომიტეტის სხდომის შესახებ ინფორმაცია პარლამენტის ვებ გვერდზე ხშირად წინა საღამოს, ზოგჯერ კი იმავე დღეს აისახება, რაც აბრკოლებს განხილვაში დაინტერესებულ პირთა მონაწილეობას.

6. მაჟორიტარი დეპუტატების საქმიანობა

- **მიზანშეწონილია, პარლამენტის ყველა მაჟორიტარი დეპუტატის საკონტაქტო ინფორმაცია განთავსდეს შესაბამის ვებ გვერდზე (www.majoritarian.ge).** მაჟორიტარი დეპუტატების უმრავლესობა არ იყენებს სპეციალურად მათი ბიუროებისთვის შექმნილ ვებ გვერდებს, რომლებიც მიზნულია პარლამენტის ვებ გვერდზე;
- სასურველია, მაჟორიტარი დეპუტატების ვებ გვერდზე, სულ მცირე, წელიწადში ერთხელ მაინც განთავსდეს ინფორმაცია მათ მიერ განხილული განცხადებების, საჯარო შეხვედრების ან ჩატარებული კვლევების შესახებ.

დანართი 1

2014 წელს დეპუტატების სიტყვით გამოსვლის რაოდენობა

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
რატინი სერგო	უმცირესობა	165
ქუცნაშვილი ზაქარია	უმრავლესობა	122
გოგორიშვილი ხათუნა	უმცირესობა	120
თაქთაქიშვილი ჩიორა	უმცირესობა	114
კუბლაშვილი პავლე	უმცირესობა	107
ბესელია ეკა	უმრავლესობა	94
ვოლსკი გიორგი	უმრავლესობა	81
ხმაღაძე ვახტანგი	უმრავლესობა	80
ქანთარია ალექსანდრე	უმრავლესობა	77
მადრაძე გუგული	უმრავლესობა	73
ტყეშელაძე ზურაბ	უმრავლესობა	73
ონოფრიშვილი დავითი	სხვა	72
ჟორჯოლიანი გია	უმრავლესობა	72
ბარამიძე გიორგი	უმცირესობა	70
მელიქიშვილი ზურაბი	უმცირესობა	69
წერეთელი გიორგი	უმცირესობა	65
ბეჟაშვილი ლევანი	უმცირესობა	60
დარჩიაშვილი დავითი	უმცირესობა	55
ნადირაშვილი ირმა	უმცირესობა	55

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
შავგულიძე შალვა	სხვა	54
ლონდარიძე ტარიელი	უმცირესობა	49
ბობოხიძე აკაკი	უმცირესობა	48
ნიკლაური ნუგზარი	უმცირესობა	48
კანდელაკი გიორგი	უმცირესობა	47
ხაჩიძე გიორგი	უმცირესობა	47
თევდორაძე გიორგი	უმრავლესობა	46
ხუნდაძე დიმიტრი	უმრავლესობა	46
ლორთქიფანიძე დათო	უმრავლესობა	45
ჯაფარიძე ზურაბი	უმცირესობა	40
მაჭავარიანი მიხეილი	უმცირესობა	37
გაჩეჩილაძე გიორგი	სხვა	32
ძიძიგური ზვიადი	უმრავლესობა	32
ცაგარეიშვილი გიორგი	სხვა	31
საგანელიძე დავითი	უმრავლესობა	28
ხიდაშელი თინათინი	უმრავლესობა	26
ბოკუჩავა თინათინი	უმცირესობა	24
მინაშვილი აკაკი	უმცირესობა	24
მიროტაძე ანი	უმრავლესობა	23
სესიაშვილი ირაკლი	უმრავლესობა	23
ვაშაძე გიორგი	უმცირესობა	22

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
კახიანი გიორგი	უმრავლესობა	22
ლემონჯავა ვახტანგი	უმცირესობა	22
ფოფხაძე გედევანი	უმრავლესობა	21
აგულაშვილი გიგლა	უმრავლესობა	20
გაბაშვილი გიორგი	უმცირესობა	20
ბარათაშვილი პაატა	უმრავლესობა	20
კობახიძე მანანა	უმრავლესობა	18
კორძაია თამარი	უმრავლესობა	18
საჯაია მარიამი	უმცირესობა	18
კვაჭანტირაძე ზვიადი	უმრავლესობა	17
დოლიძე ვიქტორი	სხვა	16
კიდურაძე ივანე	უმრავლესობა	16
ღვინიაშვილი გიორგი	უმცირესობა	16
აბაშიძე ზურაბი	სხვა	15
გოგუაძე ნინო	სხვა	15
მაისურაძე თემური	უმრავლესობა	15
საყვარელიძე ფრიდონი	უმრავლესობა	15
ბერძენიშვილი დავითი	უმრავლესობა	13
გუჯაბიძე ბიძინა	უმრავლესობა	13
თარგამაძე გიორგი	უმცირესობა	13
ხაბარელი შოთა	უმრავლესობა	12
ცისკარიშვილი პეტრე	უმცირესობა	11

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
ბუკია გიგა	უმრავლესობა	10
ჩიქოვანი ირაკლი	სხვა	10
სუბელიანი კობა	უმცირესობა	9
ქავთარაძე გიორგი	უმრავლესობა	9
ბაქრაძე დავითი	უმცირესობა	8
მეჭიაური თამაზი	უმრავლესობა	8
ნიშნიანიძე ომარი	უმრავლესობა	8
სანიკიძე გუბაზი	უმრავლესობა	8
ჩაფიძე ელისო	უმრავლესობა	8
ჯაფარიძე თედო	უმრავლესობა	8
ლეჟავა პაატა	უმცირესობა	7
ხაბელოვი ლერი	უმრავლესობა	7
კიკნაველიძე პაატა	უმრავლესობა	6
წიკლაური მირიანი	უმრავლესობა	6
ყვინიშვილი ნანა	უმრავლესობა	5
ჭკუასელი თეიმურაზი	უმრავლესობა	5
კიკნაველიძე შალვა	უმრავლესობა	4
გელაშვილი გელა	უმრავლესობა	3
თოფაძე გიორგი	უმრავლესობა	3
მალაშხია შოთა	უმცირესობა	3
მახარაძე მიხეილი	უმცირესობა	3
ოქრიაშვილი კახაბერი	უმრავლესობა	3

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
პაპუაშვილი ზაზა	უმრავლესობა	3
პეტროსიანი სამველი	უმცირესობა	3
უსუფაშვილი დავითი	უმრავლესობა	3
ჩილინგარაშვილი ზურაბი	უმცირესობა	3
ჩხეტიანი დარეჯანი	უმრავლესობა	3
ჯაფარიძე თამაზი	უმრავლესობა	3
ახალაია როლანდი	უმცირესობა	2
ბაშალეიშვილი დემური	უმრავლესობა	2
ზვიადაური ზურაბი	უმრავლესობა	2
კაჭახიძე მერაბი	უმრავლესობა	2
მელაძე გიორგი	უმცირესობა	2
ჟვანია გოგლა	უმრავლესობა	2
საყვარელიძე დავითი	უმცირესობა	2
ჩიტაშვილი ვაჟა	უმცირესობა	2
ჭავჭავანიძე დავითი	უმცირესობა	2
ბოლქვაძე ანზორი	უმრავლესობა	1
გომალაიშვილი გიორგი	უმრავლესობა	1
დუმბაძე მურმანი	სხვა	1
ვახტანგაშვილი მალხაზი	უმრავლესობა	1
კვიციანიძე პაატა	უმრავლესობა	1
მეგრელიძე ომარი	უმცირესობა	1
ოჩიაური გიორგი	უმცირესობა	1

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
სამხარაული გელა	უმრავლესობა	1
ჩრდილელი ოთარი	უმრავლესობა	1
წერეთელი მალხაზი	უმრავლესობა	1
ხაბულიანი სერგო	უმრავლესობა	1
ხალვაში როსტომი	უმრავლესობა	1
ხალვაში ფატი	უმრავლესობა	1
ჯაფარიძე ვიქტორი	უმრავლესობა	1
ბეჟუაშვილი დავითი	სხვა	0
ბერძენიშვილი ლევანი	უმრავლესობა	0
ბუკია გოდერძი	უმრავლესობა	0
ბუცხრიკიძე კახა	უმცირესობა	0
გელაშვილი ვალერი	უმრავლესობა	0
დავითაშვილი კობა	სხვა	0
დარბიევი მახირი	უმრავლესობა	0
დარცმელიძე დავითი	უმცირესობა	0
ებანოიძე ნოდარი	უმრავლესობა	23
ენუქიძე გონა	უმრავლესობა	0
ვერულაშვილი მარიკა	უმრავლესობა	0
თამაზაშვილი ალექსანდრე	უმრავლესობა	0
კარბელაშვილი გიორგი	უმცირესობა	0
კედელაშვილი ზაზა	უმცირესობა	0
კობალიანი კარლო	უმრავლესობა	0

პარლამენტის წევრი	კუთვნილება	სიტყვით გამოსვლის რაოდენობა
კურტანიძე ელდარი	უმრავლესობა	0
ლიპარტელიანი გოგი	უმრავლესობა	0
მამედოვი ალი	უმრავლესობა	0
მისაბიშვილი გურამი	უმრავლესობა	0
მკვიან ენზელი	უმრავლესობა	0
ნაყოფია კობა	უმცირესობა	0
ნიკოლაიშვილი რამაზი	უმცირესობა	0
პოდოსიანი რუსლანი	უმრავლესობა	0
სულეიმანოვი აზერი	უმცირესობა	0
ტრიპოლსკი ერეკლე	უმრავლესობა	0
ფეიქრიშვილი გიორგი	უმრავლესობა	0
ქარდავა ლევანი	უმცირესობა	0
ყაჭეიშვილი თამაზი	უმრავლესობა	0
ყიფშიძე ნიკოლოზ	უმცირესობა	0
შავლობაშვილი რევაზი	უმრავლესობა	0
შერვაშიძე იაშა	უმრავლესობა	0
შიოშვილი თამაზი	სხვა	0
ჩხაიძე თეიმურაზი	უმრავლესობა	0
ხეჩინაშვილი გიორგი	უმრავლესობა	0
ხუბულური თენგიზი	უმრავლესობა	0
ჯანაშია ნაული	უმცირესობა	0
ჯაჭვლიანი იოსები	უმრავლესობა	0

